


# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საცემში, ბედობიც ბეჭდუჭი სიფყვას, ფყდილებით და ჭბებით ბუბ-თის გაცანა ყველა უყარბისბბაჭე უსაბაგლესია.

ოთხშაბათი, 31 აგვისტო. 2016 წ. №161 (8053), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფანი 50 თეთრი.

**წერილი ბათუმიდან**  
**④ როდესაც მაღალჩინოსნები ასე აზროვნებენ და მოქმედებენ, ეს ქვეყნის სატირაღია!**

**სამგლე ბოჭები, ამკუვნებული პარტიზანი და ბოგლი-მოგლი**  
**⑤**

**ღავით სონღულაშიღი: ჩემი ფესვები საქართველოშია ბაღბოული, სხვა ყველაფერი ღაბაბებიღია**  
**③**



**სოსო სინსაბა: საქართველო ან პირღაპირ, უბაპოდ უნღა მიიღონ ნაბოში, ან უნღა თქვან, რომ ვერ ბოღებულობენ!**  
**⑧**



**რაბბი „ისპ ბვისბენენ“ ზელანდიურად**  
**⑩**



**არაბკითხე მოაბბეო...**  
**⑫**

**საბაპვიღის რეუიღის ღროს ეღისაპვიღის სრუ ბრალღების საფუბველზე 8 პირი ღაბაბენ!**




**ქანბ კალაბა:**

**კალიან ბალე საქართველოს მოქალაქეები უვიზოდ უბკლებენ ვეროპაში მობზაურობას**  
**②**

**ოცნებიღან - კონკრეტულ საქმეზე**

**ამერიკის საზღვარო ქვეითები საქართველოსკენ მოვბარბებინან**  
**⑨**

## კანი ყბა



**რა აიბულავს ბაყიღულსა და ბასხვისებულზე ზრუნვას ქვეყნის კათიღღლეოპობისთვიის მოფიბრალს?**  
**⑥**

# ოსნებიდან - კონკრეტულ საქმეზე

## მთავრობის წარმომადგენელი ახალისების განვითარების გეგმა

— მინდა, მოგისმინოთ თქვენ, მოვისმინო რეკომენდაციები ადამიანებისგან, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება და კარგად ხედავენ, თუ რა არის გასაკეთებელი, რათა მცირე და საშუალო ბიზნესს კიდევ უფრო გაუადვილდეს მუშაობა, — ამ სიტყვებით მიმართა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ქართველ ბიზნესმენებს.

შეხვედრის დასაწყისში მან ბიზნესმენებს რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმა გააცნო და აღნიშნა, რომ მთავრობას აქვს ქვეყნის სწრაფი განვითარების კონკრეტული გეგმა, რომელსაც შეუძლია მოიტანოს მნიშვნელოვანი გარდევნა ქვეყნის ეკონომიკაში.

„ვეფერობთ, მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიანი გეგმას შეუძლია, მოიტანოს

მოგების გადასახადი უქმდება ქვეყანაში. დაბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება. ამ პაკეტის თანახმად, ასევე ანგარიშების დაყვანა სასაბარტლოს გადასახადების გარეშე აღარ იქნება შესაძლებელი. ესეც მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში“, — აღნიშნა ეკონომიკის მინისტრმა.

მისი თქმით, ეკონომიკური ზრდის კომპონენტია „სტარტაპების“ დაფინანსების ნაწილი, რომელიც გაგრძელდება არა მხოლოდ ინოვაციების მხრივ, არამედ სტარტაპების მიმართულებითაც. პრემიერის ინფორმაციით, საქართველოს მთავრობა ასევე მუშაობს საპენსიო რეფორმაზე.

„მომავალ წელს ჩვენ მზად ვიქნებით,



ძალიან სერიოზული თვისობრივი ცვლილება ქვეყნის განვითარებაში. არჩეულია ზუსტად ის მიმართულებები, რომლებზეც ფოკუსირდება მოგვცემს საშუალებას, ძალიან მნიშვნელოვანი თვისობრივი ცვლილებები მოვიტანოთ ქვეყნის განვითარებაში. ეს გახლავთ ეკონომიკური ზრდის დაჩქარების პროგრამა. პარლამენტმა უკვე დაამტკიცა საკანონმდებლო პაკეტი, რომლის მიხედვითაც, 1 იანვრიდან

რომ დავიწყოთ დაგროვებითი საპენსიო სისტემა. სამწუხაროდ, ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ამ მიმართულებით დიდი დრო დავგავრთეთ. ბოლო ორი წლის განმავლობაში ინტენსიურად ვიმუშავეთ, რათა შეგვეშუშავეთ მთელი მსოფლიო სტანდარტების დახმარებით და დღეს უკვე საკანონმდებლო ცვლილებებზე ვმუშაობთ, რომელიც აუცილებელი იქნება ამ საპენსიო სისტე-

მის დანერგვისთვის“, — აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილმა ვრცლად ისაუბრა განათლების ფუნდამენტურ რეფორმაზე. მისი განმარტებით, პროფესიული განათლების მიმართულებით უკვე დაწყებულია გერმანული დუალური განათლების სისტემის დანერგვა, სადაც კერძო სექტორთან ერთად მოხდება კადრების გადამზადება, არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ საშუალო ასაკის ადამიანების, რაც პირდაპირ იმოქმედებს უმუშევრობის შემცირებაზე. მთავრობის მეთაური შეხვდა მმართველობის რეფორმას, რაც ერთიანი სახელმწიფო სერვისის შექმნას ითვალისწინებს.

გიორგი კვირიკაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ქვეყნის სივრცით განვითარებაზე და ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელთა განხორციელებას ხელისუფლება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში გეგმავს.

„ოთხი წლის განმავლობაში გვეგმავთ, დავასრულოთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი, სარფიდან დაწყებული ნითელ ხიდამდე და დასავლეთ-დასავლეთის თბილისიდან ლაგოდეხის მიმართულებით აზერბაიჯანთან დამაკავშირებელი ავტობანი“, — განმარტა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერმა ყურადღება გაამახვილა მცხეთა-ლარსის გზის მშენებლობაზე და აღნიშნა, რომ საჭირო იქნება პარტნიორობა, რათა ეს ავტობანი მივიდეს ვლადიკავკაზამდე. მისივე ინფორმაციით, დაგეგმილია გზის მშენებლობა ქუთაისიდან ცაგერის და ლენტეხის გავლით სვანეთისკენ, გვირაბების მეშვეობით.

გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა ქვეყნის სწრაფი განვითარების გეგმის განხორციელების პროცესში კერძო სექტორის ჩართულობის როლს. მთავრობის მეთაურმა მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხა და მოისმინა მათი კონკრეტული მოსაზრებები არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და წარმოების განვითარების კუთხით.

პრემიერ-მინისტრთან გამართულ შეხვედრას, რომელიც ავსტრიულ სასაწყობო მუშაობაში — „გებრიუდერ ბიზის“ გამართა, მცირე და საშუალო ბიზნესის 100-მდე წარმომადგენელი დაესწრო.

ლოქინის ხევის კარგად ვიყავი გაცილებული, წყლით სავსე არსს რომ მოგვარი თვალი.

გაგანია გვაღვით ხურვებაშეყრილ ამ გარემოში უიმედო პაციენტისთვის დონორის სისხლის გადასხმასავით იყო.

საამქვეყნოდ მობრუნების იმედით.

წყალი და სისხლი.

ამ ორი საწყისის ერთარსობის ღვთაებრივი მნიშვნელობა დასტურდება სახარებით: იესო ქრისტე, ღვთის ძე, დედამიწაზე „მოვიდა წყლითა და სისხლით; მარტო წყლით კი არა, არამედ წყლითა და სისხლით“ (იოანე, 5, 6). წყალი აქ ნათლობის წყალია, სისხლი — გოლგოთაზე ჯვარცმულის სისხლი.

ამასთან: „წყალი სიცოცხლეა, ბაღვენახიცა და სათიბ-სახნავი“ — დედამიწის ძარღვებში მოძრავი სისხლი. ეს — მატერიალური აღქმა ამ ორი სუბსტანციის.

ამ თემამდე, როგორც დღევანდელი კახეთის ერთ-ერთ აქტუალურ სამეურნეო პრობლემაზე ვისაუბრებთ, გასული მარიაშობის წინა დღეს გურჯაანში, საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად წამოყენებულ დავით სონღულაშვილთან.

სხვა პრობლემებზეც. 34 წლის ახალგაზრდა კაცთან. მანამდე კი იგი თავად წარმოგიდგენთ საკუთარ ბიოგრაფიას:

— დავამთავრე პირველი კლასიკური გიმნაზია. იმავე წელს, ანუ 2000 წელს ჩავირიცხე საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მეორე კურსიდან სტუდენტების გაცვლით პროგრამით 16 საუკეთესო სტუდენტი შეგვარჩიეს და ეკონომიკის მეცნიერებათა კურსის მიზნობრივად შესასწავლად მანჩესტერის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტში მიგავლინეს.

ქიდან რომ ჩამოვედი, გამოცდები ჩავაბარე კავკასიის ბიზნესსკოლაში.

— და ორივე უნივერსიტეტში ერთდროულად სწავლობდით?

— დიახ. ტექნიკურ უნივერსიტეტში ლექციები დილის საათებში ტარდებოდა, კავკასიის ბიზნესსკოლაში საღამოს შვიდის ნახევრიდან გვეწყებოდა სწავლა.

— გაგიძნელდათ?

— არა. როცა ინტერესი გაქვს, სიძნელეებს, მოგესხენებათ, ავივლი და დალევს ადამიანი...

ბიზნესსკოლაში მესამე კურსზე რომ ვიყავი, ახლადგახსნილი ტელეკომპანიიდან „მზე“ მოვიდა მოთხოვნა გაყიდვების მენეჯერზე და მე, როგორც წარმატებულ სტუდენტს, რეკომენდაცია გამიწიეს, დამეკავებინა ეს ვაკანტური ადგილი. როგორც ჩანს, მოენათ ჩემი კანდიდატურა და შევუდექი მუშაობას.

— სწავლობდით და პარალელურად მუშაობდით?

— დიახ, და ეს იყო 2003 წლის გაზაფხულის პირველი დღეები. ვაგრძელებდი სწავლას პოლიტექნიკურ უნივერსიტეტსა და კავკასიის ბიზნესსკოლაში, თან ვმუშაობდი „მზეში“. 2004 წელს დავამთავრე ორივე სასწავლებელი.

იმავე წლის იანვარში ეკონომიკის მინისტრად დაინიშნა ჩემი ბავშვობის მეგობარი (ასაკით ჩემზე უფროსი) ირაკლი რეხვიაშვილი, რომელმაც თანაშემწედ გადასცა შემომთავაზა. გადავედი. მომდევნო მინისტრმა უწყების ადმინისტრაციის უფროსად დამანიშნა. ეს უკვე მაისის თვეა.

2004 წლის ბოლოს საქართველოში ჩამოვიდა ახალგაზრდა ბანკირთა ჯგუფი, რომელიც საზღვარგარეთ მოღვაწეობდა — ბატონი ლადო გურგენიძე და ირაკლი გილაური. ამ უკანასკნელთან ბავშვობის დროიდან ვმეგობრობდი, ბატონ ლადოს კი მანჩესტერში სწავლისას დავუახლოვდი.

ჩამოვიდნენ და შემომთავაზეს „საქართველოს ბანკში“ შესყიდვების დეპარტამენტის უფროსად გადასვლა. ცხადია, დავთანხმდი და ამ თანამდებობაზე ორი წელიწადი ვიმუშავე. საინტერესო იყო ძალიან, რადგან სწორედ მაშინ განხორციელდა „ინტელექტუალის“, სადაზღვევო კომპანია „ალდაექტუალის“, „თბილუნევერსალბან-

## კახა კალაძე: ძალიან მაღე საქართველოს მოქალაქეები უპირობოდ შეძლებენ ევროპაში მოგზაურობას

საძირითველოში ვიზიტით მყოფი ევროპარლამენტის სოციალისტებისა და დემოკრატების პროგრესული ალიანსის ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტი საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში კნუტ ფლეკენშტაინი „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ გენერალურ მდივანს კახა კალაძეს შეხვდა.

ევროპელი სოციალისტების პარტია „ქართული ოცნების“ პარტნიორია და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ეს თანამშრომლობა. სამომავლოდ ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას ვგეგმავთ, რაც კიდევ უფრო მეტად დაეხმარება ჩვენს ქვეყანას ევროპასთან დაახლოების გზაზე.

„თქვენ იცით, რომ ჩვენ ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა და დარწმუნებული ვართ, რომ ძალიან მალე საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ ევროპაში მოგზაურობას ვიზების გარეშე და ამ მიმართულებით მინდა, კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო სოციალისტებსა და დემოკრატებს მხარდაჭერისთვის.“

დარწმუნებული ვარ, ჩვენ ძალიან მალე გვექნება იმის შესაძლებლობა, რომ საქართველოს მოქალაქეები ვიზების გარეშე იმოგზაურებენ ევროპულ ქვეყნებში. ბატონ ფლეკენშტაინს ექნება შესაძლებლობა, დააკვირდეს საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას და თავად შეაფასოს საარჩევნო გარემო.

როგორც ყველასთვის ცნობილია, ჩვენ ვატარებთ ჩვენი

ქვეყნის ისტორიაში ყველაზე თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს. ჩვენ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ საქართველოში ყველას მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ არჩევნები ჩაატაროს მშვიდ გარემოში, თავისუფალ გარემოში ყველანაირი ზეწოლის, ყველანაირი ხელშეშლის გარეშე. ყველა პოლიტიკურ პარტიას, ყველა პოლიტიკურ სუბიექტს ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ გააცნოს თავიანთი ხედვები ქვეყნის განვითარებისა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და თავად საქართველოს მოქალაქეებმა არჩევნების გზით მიიღონ გადაწყვეტილება, როგორც ეს ევროპულ, ნორმალურ, განვითარებულ ქვეყნებშია, თუ ვინ უნდა იყოს ქვეყნის ხელისუფლებაში.

მოსარულები ვართ, რომ ჩვენი მეგობრები ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს ხედავენ, სათანადოდ აფასებენ და აფიქსირებენ თავიანთ მხარდაჭერას. მე კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა მინდა, გადავუხადო ბატონ კნუტ ფლეკენშტაინს“, — განაცხადა კახა კალაძემ.



## წინასაარჩევნო ქულების ჩანერგა, თუ?..

საძირითველო საგარეო საქმეთა მინისტრი არ ადასტურებს ინფორმაციას, თითქოს არაბული საყაროს ქვეყნების მიერ გარკვეულ პერიოდში აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება იგეგმებოდა და ამას ხელი „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთმა ლიდერმა, პარლამენტარმა გუბაზ სანიკიძემ შეუშალა.




ამის შესახებ ჯანელიძემ გუბაზ სანიკიძის მიერ გაკეთებული შესაბამისი შინაარსის განცხადების კომენტარებისას აღნიშნა. როგორც მიხილ ჯანელიძემ აღნიშნა, ბევრი პოლიტიკოსი ალბათ, წინასაარჩევნოდ ცდილობს ქულების დაწერას.

„საგარეო საქმეთა სამინისტრო ძალიან აქტიურად არის ჩართული არაღიარების პოლიტიკაში და წარმატებით ახორციელებს ამას. 2013-2014 წლებში ორმა იგეგმანამ უკან წაიღო აღიარება და ჩვენ დავამყარეთ მათთან დიპლომატიური ურთიერთობა. ყოველწლიურად იზრდება მხარდაჭერა რიცხვი გაეროს ფარგლებში იმ რეზოლუციაზე, რომელიც მიმართულია იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხზე. ჩვენ ვაგრძელებთ ამ აქტიურ მუშაობას და ვურჩევდით მათ, ვისაც აქვს რაიმე ტიპის ინფორმაცია, ითანამშრომლოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, რომელიც ეფექტურად მუშაობს ამ მიმართულებით“, — განაცხადა ჯანელიძემ.

მისივე თქმით, ვერანაირად ვერ ადასტურებს გუბაზ სანიკიძის მიერ გაკრეცლებულ ინფორმაციას.

დავით სონღულაშვილი:

ჩემი ფასები საქართველოში გადგეული, სხვა ყველაფერი დაგაბრუნდა



დავით სონღულაშვილი

კის“ და სხვა ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების შესყიდვა, ამ პროცესში აქტიურად ვიყავი ჩართული და დიდი გამოცდილებაც შევიძინე.

2006 წელს „საქართველოს ბანკმა“ დაიწყო სტრუქტურული სესხების გაცემა, და ჩემი მუშაობის დაფასება იყო, როცა პირველი ასეთი სესხი მე მომცეს. გამიშვეს გრენობლის (საფრანგეთი) უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სასწავლებლად.

სწორედ გრენობლში სწავლის პერიოდში გამიჩნდა სურვილი, საკუთარი ბიზნესი წამომეწყო საქართველოში. პირველი ნაბიჯებიც ამ მიმართულებით მაშინ გადავდგი.

„სელიოს“, ერთ-ერთ საერთაშორისო კომპანიას, რომელიც ტანსაცმლის ბრენდს აწარმოებს, სამი თვის განმავლობაში ყოველდღე ვუგზავნიდი წერილებს, ვთავაზობდი ერთობლივად საქმის წამოწყებას საქართველოში. ათამდე ასეთი კომპანიის სია მქონდა გაკეთებული და „ვგობავდი“ იმეილებით.

ზოგმა უარი შემომითვალა, ზოგმა საერთოდ არ მიპასუხა. ხოლო, როცა მათგან ერთმა მომწერა – კონკრეტულად გვითხარი, რა გინდაო, დავინყეთ კიდევ მოლაპარაკება, და დღეს, უკვე ათი წელიწადია, რაც ეს ბრენდი საქართველოს ბაზარზე ოპერირებს. მასთან ერთად – ბევრი სხვაც.

– მაგალითად? – მაგალითად, „პრომოდი“, „გარი ვებერი“, „ორსეი“...

იყო ისეთი ბრენდებიც, რომლებმაც ვერ გაუძღეს იმ ეკონომიკურ ცვლილებებს, ჩვენს ქვეყანაში რომ განვითარდა, მაგალითად, „ტომ ტელიორი“, „იუპი“, და შეწყვიტეს ჩვენთან თანამშრომლობა.

საბოლოო ჯამში, შემოყვანილი 12 ბრენდიდან, ხუთი დღესაც აქტიურად საქმიანობს საქართველოში.

– თქვენი ძმა – სოსოც ბიზნესმენია.

– დიას. ვმუშაობთ რამდენიმე მიმართულებით. ეს არის სამშენებლო, სასტუმროების, საცალო ვაჭრობის მიმართულებები. აქედან პირველს ჩემი ძმა ხელმძღვანელობს, დანარჩენ ორს – მე. სერვისის ასეთი განაწილება გვაქვს ოჯახში (ელიმბა).

– დავით ბატონო, ოთხი უმაღლესი სასწავლებლის კედლებში მიიღეთ განათლება. გეკითხებით: რომელი უნივერსიტეტის კურსდამთავრებულად თვლით საკუთარ თავს?

– პირველი სიხარული, პირველი ემოციები და სტუდენტობის პირველი გაცნობა, რასაკვირველია, საქართველოს პოლიტიკური უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული.

– პირველი „ალმა მატერი“...

– დიას, პირველი. მაგრამ მალევე კავკასიის ბიზნესსკოლამ, რომელიც დღესაც საუკეთესო საქართველოში, შემოვიდა და გამიღმრავა ეს გრძობა. ჩემი ფესვები ქართულია, დანარჩენი უცხოური – დამატებითი – თვალსაწიერის გასაფართოებლად და პროფესიული ცოდნის დახვეწა-გამრავალფეროვნებისთვის აუცილებელი.

– გურჯაანის მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატად თქვენმა წამოყენებამ ხომ არ გადაკვეთა თქვენი მოღვაწეობის ის მაგისტრალური ხაზი, რომელიც არჩეული გქონდათ და აქამომდე მიჰყვებოდით?

– შეიძლება ითქვას, რომ გადაკვეთა: პოლიტიკაში წასვლა არც მოკლევადიან, მით უფრო, არც გრძელვადიან პერსპექტივაში დაგეგმილი არ მქონდა, იმდენად აქტიურად ვმუშაობდი ბიზნესში.

როცა ჩემი კანდიდატურის წამოყენების საკითხი დადგა დღის წესრიგში, ბევრი ვიფიქრე ამ შემთავაზებაზე. ეს ძალიან დიდი ვალდებულება და ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო, როგორც ჩემი გვარისა და ოჯახის წინაშე, ასევე (და უწინა-

რეს ყოვლისა) იმ ამომრჩეველთა წინაშე, ვინც ხმა უნდა მომცეს 8 ოქტომბერს, აგრეთვე (და არც ესაა მეორეხარისხოვანი), იმ რაიონის წინაშე, რომელშიც ვავიზარდე. გაუაზრებლად არ დავთანხმებულვარ, ნაბიჯი ჰაიპარად არ გადამიდგამს.

რახან ჩემს ქვეყანას ვჭირდები პოლიტიკაში – აუცილებლად წავალ რიგით ვარისკაცად და ბოლომდე იქ დავიხარჯები.

– მითხრეს, რომ დღესთვის გურჯაანის რაიონის 22 სოფელში შეხვედით ამომრჩევლებს. ისიც მითხრეს, რომ საინტერესო დიალოგები გქონდათ მათთან. დეპუტატობის კანდიდატების ტრაფარეტული დაპირებებისთვის თავის არიდება შექვლით?

– მართალი გითხრათ, სხვების ასეთ შეხვედრებს მაინცდამაინც ყურადღებით არ ვევიდე. ამიტომ ჩემს თავს შეფასების უფლებას არ მივცემ. მაგრამ, რა თქმა უნდა, იქ განხილულ თემატიკაზე ჩემი შეხედულება მაქვს.

მაგალითად, ამომრჩევლები ხშირად აყენებენ პენსიაზე ადრე გასვლის საკითხს. მაგრამ ის ასაკი, რომელშიც პენსიაზე გასვლას გვთავაზობენ, ადამიანის გონებრი-

ზოგიერთ ქვეყანაში ლეგენდებს თხზავენ ტურისტების მისაზიდად. ჩვენ ლეგენდარული ისტორია გვაქვს, რომელიც, რაც შეიძლება ფართოდ უნდა წარმოვანინოთ.

აუცილებლად უნდა აღვნიშნო ახტალის კურორტი, რომელიც თავისი თვისებებით უნიკალურია და რომელიც აუცილებლად უნდა განვითარდეს, რადგან ყველა წინაპირობა არსებობს მისი საერთაშორისო მნიშვნელობის სამკურნალო კურორტად ჩამოალიბების.

განათლების მიმართულებით ჩვენი მხარის განვითარება, ვფიქრობ, სწორედ გურჯაანში, კახეთის ცენტრში პროფსასწავლებლების კონცენტრაციის კუთხით უნდა მოხდეს. რადგან სწორედ აქ აქვთ დაგროვილი მდიდარი გამოცდილება. ბაკურციხეში იყო შესანიშნავი პროფსასწავლებელი, რომელიც, სამწუხაროდ, გაუქმებულია, კაჭრეთში ფუნქციონირებს არაჩვეულებრივი პროფსასწავლებელი, გურ-

წინასაარჩევნო ქარბორბალით ატყებულ ვინმეს კახეთზე კატეგორიული დასკვნების გაკეთების პრეგენზია თუ გაუჩნდება, ჯერ ჩავიდეს ამ მხარეში, მიდგეს-მოდგეს, გაიკითხოს და გამოიკითხოს. შემდეგ თქვას!

ვი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად განვითარების პერიოდია. ამიტომ, ჩემი აზრით, 55-60 წლის ადამიანების პენსიაზე გასვლაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, არამედ შევქმნათ მათთვის, მათი ცოდნისა და გამოცდილების შესაფერისი სამუშაო ადგილები. არა პენსიაზე გასვლა მუშაობის უფლების შენარჩუნებით, არამედ დასაქმება, როგორც ყველა შრომისუნარიანი ადამიანის.

ესაა, მგონი, საშური საქმე. თუმცა გადასაწყვეტი და მოსაგვარებელი პრობლემების სფერო გაცილებით ფართია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტს ძალიან დიდი პოტენციალი აქვს სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით. საქართველოს მეღვინეობაში არსებული 17 ადგილობრივი წარმოშობის სერტიფიკატიდან ექვსი გურჯაანის რაიონიდანაა: „მუკუნანი“, „ახაშენი“, „ვაზისუბანი“, „კარდენახი“, „გურჯაანი“, „კოტეხი“!

ჩვენი რაიონი უფრო და უფრო ყალიბდება, როგორც ატმის მწარმოებელი. ცხადია, აუცილებლად უნდა შეიქმნას და გაფართოვდეს ხილის გადამამუშავებელი და შესანახი ინფრასტრუქტურა.

ტურიზმის განვითარების პერსპექტივაც დიდიან. მართალია ის რად ღირს, რომ სწორედ აქ არის კოტე აფხაზის, დავით სარაჯიშვილის მემორიალური სახლები, ჯანდიერების სასახლე, ნატო ვაჩნაძის – ქართული კინოს უბადლო ვარსკვლავის – სახლი-მუზეუმი და ა. შ. ველისციხეში 600 წლის მოქმედი მარანი. დაამატეთ ამას ველისციხისა და ჭერმის უნიკალური ისტორიები, სადაც მესხეთე საუკუნიდან ქალაქები არსებობდა... მელაანსა და ჩალაუბანში აღმოჩენილია უძველესი ნასახლარები...

ჯაანშიც რომ გაიხსნას, შესანიშნავი იქნება: ამ ცენტრებში შექმლვით სოფლის მეურნეობაში, თუ ტურიზმში დასასაქმებელი კადრების მოზადებასაც და გადაამზადებასაც.

ის ღონისძიებები, რომლებიც ჩამოვთვალე, ჯამში, კომპლექსურად გადანყვეტს რაიონის ძირითად პრობლემას – უმუშევრობას.

საკმაო ხანს გაგრძელდა ჩვენი საუბარი, რომლის დროსაც აქაურ ამომრჩეველთა ძირითადი მოთხოვნები განსაკუთრებით გამოიკვეთა: ინფრასტრუქტურის დახვეწა, შიდასასოფლო და საუბრო გზების კეთილმოწყობა, მოსახლეობისთვის წყლის 24-საათიანი

P. S. კახეთში ჩასულ თბილისელს აუცილებლად მოუყვებიან დღესთვის აქტუალურ ამ ანეკდოტს:


თბილისში ბაზრობაზე საზამთროს გასაყიდად მიმავალ კახელს დედაქალაქის შესასვლელთან პატრულის ახალგაზრდა თანამშრომელი გააჩერებს და დაშვებულ ნორმას გადამეტებული ოდენობით გატანის მომიზეზებით 300 ლარის გადახდას მოსთხოვს. კახელი უმტკიცებს, რომ ამხელა ფულს, მთელი მოსავალიც რომ გაყიდოს, ვერ მოიგებს. ნელში ვარო განყვეტილი, ხომ იცი, რა რთული პირობებიაო კახეთში.

– არ ვიცი, – ეტყვის პოლიციელი. – როგორ თუ არ იცი?! – გაიკვირვებს კახელი. – არ ვყოფილვარ და იმად არ ვიცი, – მოკლედ მოუჭრის პატრული. – აბა, შენა ყოფილხარ! შაჰ აბასი იმ სიშორიდან ცხენით სამჯერ ჩამოვიდა კახეთში და შენ ერთხელაც ვერ მოახერხეო?!

აქედან მორალი: წინასაარჩევნო ქარბორბალით ატყებულ ვინმეს კახეთზე კატეგორიული დასკვნების გაკეთების პრეტენზია თუ გაუჩნდება, ჯერ ჩავიდეს ამ მხარეში, მიდგეს-მოდგეს, გაიკითხოს და გამოიკითხოს.

შემდეგ თქვას! დაგბროს: იმ კახელებსაც ველაპარაკე, რომლებიც დავით სონღულაშვილს თავიანთ სოფლებში მასპინძლობდნენ.

იცი, რა მითხრეს? ამ ახალგაზრდა კაცთან შეხვედრის დროს საოცრად კეთილგანწყობილი აურა ყალიბდებოდაო.



ესაუბრა არმაზ სანაგულიძე

# როდესაც მაღალჩინოსნები ასე აზროვნებენ და მოქმედებენ, ეს ქვეყნის სტირალია!

## საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ბატონ ბიორბი კვიციანიას

ბატონო ბიორბი, მოგესალმებით და გამოვხატავ თქვენდამი ღრმა პატივისცემას. წარმატებებს გისურვებთ სახელმწიფო საქმეების მოგვარებაში.

კარგად ვაფასებ და მასსოვს თქვენი ნათქვამი: „ჩემთვის საბატიოა იმ ძალისხმევის ხელმძღვანელობა, რომელიც „ქართულმა კოალიციამ“ წამოიწყო 2012 წელს. ამ ძალისხმევის მიზანია ღია და ანგარიშვალდებულებით მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც თავის დამტკიცებელს, ანუ ხალხს უსმენს“.

ამასვე ვადავებ ბატონი ბიორბი ივანიშვილი და ხაზს უსვამს მუდამ იმას, რომ ხალხი არის ქვეყნის კაპიტალი, რომელსაც უნდა მოვლა და სწორად საქმის სამსახურში ჩაყენება.

თქვენ ბრძანებთ „ჩვენ უნდა დავამკვიდროთ საჯარო მოხელის ქვეყნის მაღალი სტანდარტი. ჩვენ ვერ შევგვუბნებთ იმას, რომ საჯარო მოხელეები თანამდებობებს იყენებენ იმისათვის, რომ საკუთარი სურვილები დაიკმაყოფილონ“.

თქვენ სიამოვნებით ხვდებით ქართველ მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, იმიტომ, რომ ჩვენი ეკონომიკის აღორძინებას სჭირდება განათლებული პროფესიონალები.

ბატონი ბიორბი ივანიშვილი სასარგებლოდ თვლის შეხვედრებს და მოსმენებს ტელე და ბექდ-ვითი მედიის წარმომადგენლებთან. ასევე სწამს, რომ მთავრობა უნდა ისმენდეს და პასუხობდეს მოსახლეობის შეკითხვებს.

საქართველოს აქვს შრომის კოდექსი. საქართველოს აქვს კონსტიტუცია.

თქვენ ბრძანებთ „...მთელი ყურადღება უნდა დაეთმოს ჩვენს უმთავრეს რესურსს – ჩვენს ხალხს“. ასევე: „ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ, მთავრობის პოლიტიკა გამოხატავდეს ხალხის ნებას და ინტერესებს...“

ძვემანაში დიდი ხანია, დაკანონებულია სამსახურებში ვაკანტურად დგომის კანდიდატა შერჩევა კონკურსების მეშვეობით.

ყოველივე ეს ძალიან კარგია, მაგრამ ჩემი ოჯახის გამოცდილებიდან ვიტყვი, რომ, სამწუხაროდ, სამი წლის განმავლობაში ვერ მოვახერხე, პასუხი მიმეღო ისეთი მაღალჩინოსნებისგან, როგორებიც არიან სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორი, ბატონი მ. ბახტაძე, სს „საქრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ა. გუნცაძე, საპარტნიორო ფონდის დირექტორი ი. კოვზანაძე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ქალბატონი მ. ციციტიშვილი, მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ქალბატონი ნ. ჭითანავა.

სამი წელი ვცდილობდი მე და ჩემი ოჯახი, ნებისმიერი საკომუნიკაციო საშუალებით მიგველო მათგან პასუხი იმ უსაფუძვლო უსამართლო გადანაცვლებებზე, რომელიც მიიღეს ჩემი ოჯახის წევრის მიმართ, ყოველგვარი კონსტიტუციური უფლებების დარღვევით, სამსახურში მისი თავდადებული შრომისა და მიღწეული შედეგების იგნორირებით, სუფთა ბიოგრაფიის იგნორირებით, განათლების იგნორირებით.

ეს დანიყო 2013 წლის 16 ივლისს, როცა „საქართველოს რკინიგზაში“ მოულოდნელად და გასაკვირად გამოსცა დადგენილება № 2/32. მასში ჩანს: „მირზა დოლიძე მიზანშეწონილია განთავსდეს თანამდებობიდან და ამავდროულად შენარჩუნდეს იქნას შრომითი ურთიერთობა მოადგილის პოზიციაზე (ერთი) თვის ვადით...“

ამას წინ არ უძლოდა არავითარი გაფრთხილება, არავითარი შენიშვნა, არავითარი მითითება, არავითარი საუბარი. არ გვესიამოვნება, მაგრამ აბსოლუტური ნდობა გვქონდა ბიორბი ივანიშვილის მთავრობისთვის გამოცხადებული და ფიქრდაც არ მოგვევლია, რომ დაუშვებდნენ უსამართლობას, უზნეობას (არ უნდა ვნდობოდით). სინამდვილეში კი მოგვეცქინენ ვერაფერად და უსამართლოდ.

სწორედ ამ დადგენილების ხელმოწერით მ.ბახტაძემ „მწვანე აუნთო“ მ.დოლიძის სისტემიდან გასვებას. სწორედ ამ დადგენილებას მოჰყვა კასკადი დადგენილებებისა – თანამდებობებზე გადაადგილება-დანისვენებისა. სწორედ ამის შემდეგ „მოხერხდა“ თანამდებობებზე არაპროფესიონალი და რეპუტაციაშეღებულ კადრების უკონკურსოდ დანიშვნა (ამის შესახებ კონკრეტულად მივუთითებდი ჩემს მომართვებში). ზოგიერთი მათგანი ამის გამო რამდენიმე თვეში ისევ შეიცვალა. ნუთუ CV-საც არ ნახულობდნენ?

ამიტომ ვთხოვდი სს „საქრკინიგზის“ ხელმძღვანელს, აესხნა და განემარტა ჩვენთვის თავისი უსამართლო 2013 წლის 16 ივლისს გამოცემული №2/35 დადგენილების საქართველოს-სარგებელი. მხოლოდ მას შეუძლია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. სამწუხაროდ, საპასუხოდ ჩემი მომართვები გადაეგზავნებოდა დაბალი რგოლის ხელმძღვანელს. ამ უკანასკნელმა კი არ იცის სიმართლე, რატომ მიიღო „საქრკინიგზის“ ხელმძღვანელმა ასეთი გადანაცვლება და და-

გენილება, ვერ ახერხებს კითხვაზე პასუხს. სამაგიეროდ, ასეთი „ეშმაკური“ ხერხით „საქრკინიგზა“ 3 წელი ცდილობს თავის გამართლებას, დროის გაყვანას.

ზემოაღნიშნული დადგენილების გამოცემისთანავე ბ-ნი მ. ბახტაძე „დაიშალა“, გავიდა ყოველგვარი კომუნიკაციიდან.

**ეს ნამდვილად წარმოუდგენელია! „საქრკინიგზა“ თავისი მოქმედებით ამტკიცებს, რომ უკონტროლოა და მეუბნება: „მე ასე მინდა! წადი ახლა, მიჩივლე!“, მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილებაც დაახლოებით იმ აზრზეა, რომ პრემიერის კომპეტენცია არ არის საკმარისი, არც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომპეტენცია. ამიტომ მირჩევს, ვიჩივლო სასამართლოში! როცა მაღალჩინოსნები ასე ფიქრობენ და მოქმედებენ, ეს ქვეყნის საფრთხეა!**

არ კომუნიკაციიდან. არ მოხერხდა მასთან არც ტელეფონით, არც მობილურით, არც ელფოსტით საუბარი. რაკი ეს ვერ მოხერხდა, იძულებული ვიყავი, მიმართვა გამეზავნა სს „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელს, შემდეგ სს „საქრკინიგზის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარისთვის. ყველა ამ მიმართვას ისინი უგზავნიდნენ ისევ „საქრკინიგზას“, ის კი „მარხავდა“. ყველაფერი ეს დეტალურად აღვწერე ჩემს თქვენდამი გამოგზავნილ მიმართვებში.

გულწრფელად გეტყვით, რომ ვერ წარმოვიდგინებ, თუ ამ საკითხით მომინებდა პრემიერ-მინისტრისთვის მიმართვა. ასეთი საკითხები უნდა რეგულარდებოდეს „საქრკინიგზის“ ხელმძღვანელების დონეზე, მაგრამ როცა დაინახე, რომ ეს ხელმძღვანელები იმალეობენ, ჩემს მიმართვებს თავიდან იცილებენ და „მარხავენ“, იძულებული ვიყავი, ყველა უხეში დარღვევა, რასაც შევიჩვენე, მომეტანა თქვენამდე, მაგრამ, სამწუხაროდ, მთავრობის ადმინისტრაციამ თავისთვის გაიადვილა მუშაობა (ცხოვრება) და თქვენთვის გამოგზავნილი მიმართვები ტრანზიტად აგზავნა „საქრკინიგზაში“, იმათ კი „დამარხეს“. ნუთუ ეს არის ხალხის სასახური იმ უზარმაზარი ხელფასების სანაცვლოდ, რომელსაც ზემოჩამოთვლილი მაღალჩინოსნები ღებულობენ?

ყველა ეს თანამდებობის პირი „დაიშალა, ჩაიჭრა...“ არანაირად არ გვიპასუხა ჩვენ მიმართ ჩადენილ თავის უსამართლობასა და შეურაცხყოფაზე. ამას ჰქვია თანამდებობის ბოროტად გამოყენება. ნუთუ სს „საქრკინიგზას“ ასე ჭარბად ჰყავს განათლებული პროფესიონალები?

გავიმეორებ, რომ არ მაქვს დავა პირადულობიდან ან კერძობიდან გამომდინარე – ვისაც მივმართე, ყველამ ბოლომდე წაიკითხოს ჩემი მიმართვები და აღმოაჩინოს, რომ ვწერ ისეთ უხეშ გამოკვლინებებზე, რომლებიც ანგრევენ ჩვენს ეკონომიკას და სახელმწიფოებრიობას: ვაკანტურ თანამდებობებზე დანიშნისას კონკურსის უგულვებელყოფა, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ ორგანიზაციის ხელმძღვანელად რეპუტაციაშეღებულ კადრების მიღება ორჯერ უფრო მეტი ხელფასით, ნინა ხელი-სუფლების მაღალჩინოსნის მუელის (არაპრო-


ფესიონალის) თანამდებობაზე დარღვევებით დანიშვნა, საკადრო პოლიტიკის არარსებობა და საერთოდ მისი არსის იგნორირება.

სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ ის, რომ სს „საქრკინიგზის“ შვილობილი კომპანიის, „ჯორჯიან რელიევი ტრანსკონტინერის“ დირექტორად გყავს ლა ვერნ კალიფორნიის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ეკონომიკის ბაკალავრი, საზღვაო ეკონომიკისა და ლოჯისტიკის მეცნიერებათა მაგისტრი, როტერდამის ერაზმუს უნივერსიტეტში ხარისხდაცული, ოთხი ენის მცოდნე, რომელსაც მოუწევს დევნა?

ამ დევნის საფუძველია „...მიზანშეწონილია განთავსდეს...“ გაუგებარია, რა მაგიურ ძალას მიაკუთვნებენ სიტყვას „მიზანშეწონილია“ საქრკინიგზაში, კანონზომიერად მას წინ უნდა უძლოდეს ის მიზეზები, დასაბუთებები, მტკიცებულებები, რომლებსაც მიყავხარ ასეთ დასკვნამდე. საქმე ეხება ადამიანს, რომელიც დასაქმებული იყო უფადო კონტრაქტით, რომელმაც უზარმაზარი ძალისხმევით შეძლო ავტოშეხვედრა უმოქმედო თბილისის, ფოთისა და ბათუმის საკონტეინეროები (არსებობს საბუთები, როგორც მდგომარეობაში ჩაიბარა და როგორი დატოვა). და როცა ყველაფერი ამოქმედდა, აშუშავდა, მოზიდულ იქნა სერიოზული კლიენტურა, მაშინ გახდა „მიზანშეწონილი“ დევნა პროფესიონალისა, რომელსაც აქვს საკმაო განათლება, არ აქვს არავითარი მავნე ჩვევები, ალზრდილია და მომწიფებულია ქვეყნის ინტერესების პროორიტეტობაზე. ასეთ პროფესიონალს დევნი უშიზეზოდ და შემცველად ირჩევ რეპუტაციაშეღებულ კადრს, რომელსაც რამდენიმე თვეში ისევ წარუმატებელი კადრით ცვლი.

ნამდვილად გაუგებარია! წარმოუდგენელია! ასევე გაუგებარი და წარმოუდგენელია, როცა სერიოზული თანამდებობის პირები ემალებიან თანამშრომლებთან შეხვედრა-საუბრებს, არ კადრულობენ წერილობით უპასუხონ წერილობით მომართვას – ეს გრძელდება თითქმის სამი წელი და, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ თავის დროზე მოიქცნენ უსამართლოდ, და უფრო უარესი, თავისი დამაბლელი იცვენენ თავიანთ უსამართლობას.

ამიტომ მოგმართავთ თქვენს მიმართ იცოდეთ, რა უხეშ შეცდომებს უშვებენ სერიოზული



ქკინიგზაში, მის სამეთვალყურეო საბჭოში, საპარტნიორო ფონდში, პრემიერ-მინისტრის მისამართით მუდამ მივუთითებდი მრავალრიცხოვანი დარღვევების ფაქტებზე. საკმარისია ერთი თვალის გადავლება 2013 წლის ივლის-ოქტომბერში გამოცემულ ბრძანება-დადგენილებების კასკადზე, რომ დაინახო ადამიანის სამსახურადან დევნის პროცესი. ეს არის უკონტროლობის შედეგი, ამიტომ მინდა, ყოველივე ამ გადახრების შესახებ იცოდეთ თქვენ. ამ დონის პროფესიონალს როცა უნდა „მიზანშეწონილი“ დევნას, გაუგებარია! ეს რომ იყოს პირადი კაპიტალი, გაფლანგავდა ასე? არა! არც რკინიგზა, არც სამეთვალყურეო საბჭო, არც საპარტნიორო ფონდი, არც მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილება, არც მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი ასეთ და მსგავს შემთხვევებს არ უფერებენ სახელმწიფოებრივი პოზიციიდან, მათი პოზიციაა, როგორც წერილობითი მიმართვა ვინმეს გადაწერონ და მოქალაქე, რომელმაც საჩივარი დაწერა, თავიდან მოცილონ, თუგინდ დევნა კიდევ გაგრძელდეს.

ეს პოზიცია დამღუპველია. გეტყვით გულწრფელად, მრავალმა ჩემი ოჯახის გულშემატკივარმა დამირეკა და მთხოვა, გადამეცა მათთვის იმ წერილის ასლი, რომელიც მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსმა, ქ-მა ს.ჭითანავამ გამოგზავნა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ და მე, თქვენს მონა-მორჩილს. დაბოლოება ასეთია: „ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თქვენს ღია წერილებში მითითებულ გარემოებებზე რეაგირება სცილდება საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომპეტენციის ფარგლებს, რის გამოც მოკლებული ვართ შესაძლებლობას, დაგაკმაყოფილოთ თქვენი თხოვნა“.

ეს ნამდვილად წარმოუდგენელია! „საქრკინიგზა“ თავისი მოქმედებით ამტკიცებს, რომ უკონტროლოა და მეუბნება: „მე ასე მინდა! წადი ახლა, მიჩივლე!“, მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილებაც დაახლოებით იმ აზრზეა, რომ პრემიერის კომპეტენცია არ არის საკმარისი, არც საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის კომპეტენცია. ამიტომ მირჩევს, ვიჩივლო სასამართლოში! როცა მაღალჩინოსნები ასე ფიქრობენ და მოქმედებენ, ეს ქვეყნის საფრთხეა!

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსმა, ქ-მა მ.ციციტიშვილმა სამი წელი ყველაფერი იღონა, რომ ჩემი არც ერთი პირდაპირი თუ საგაზეთო მიმართვა არ მოხვედრილიყო ბატონ პრემიერ-მინისტრთან.

მე მივუთითებ ჩემს მიმართვებში თანამშრომლებთან/მოქალაქეებთან კონტაქტის უგულვებელყოფაზე, პროფესიონალის დევნაზე, კონსტიტუციის დარღვევაზე, საჯარო მოხელეების ქვეყნის სტანდარტის უგულვებელყოფაზე, ვაკანტურად დგომის კანდიდატთა შერჩევისას კონკურსების იგნორირებაზე, სახელმწიფოს კუთვნილ სანარმოში რეპუტაციაშეღებულ კადრების მიღებაზე და ა.შ.

ამიტომ ყველაფერი ეს ვერ იქნება ჩემი კერძო კონფლიქტი. ყოველივე ზემოჩამოთვალის გამოვლინება ცალკეული ჯგუფების მიერ არის ჩვენი ქვეყნის კრიზისის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ამიტომ, რომ უფროსი მთელ ქვეყანასა და ხალხს დამოუკიდებლობის მთელი ოცდახუთი წელი. ამიტომ ვცდილობ, ხმა მივანვიძინო ქვეყნის პირველ პირს.

ჩემი გულშემატკივრები მთხოვენ, ვუპასუხო მათ შეკითხვას: „ისმე მიმსცემ ხვას თუ არა“, „მართლაც უცნაურია“, რომელსაც ხვას ისმით ზემოჩამოთვლილი მაღალჩინოსნები, რომლებიც არიან სს „საპარტნიორო ფონდში“, მის სამეთვალყურეო საბჭოში, საპარტნიორო ფონდში, მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი, ადმინისტრაციის იურიდიული განყოფილების უფროსი? რა თქმა უნდა, მე მათ ვუპასუხებ უფრო გვიან გაზეთის მეშვეობით, ვერ კიდევ დრო არის მოფიქრებისთვის, დაწყებული მის მიღებისთვის.

ბატონო ბიორბი, იმედი მაინც მრჩება, რომ ეს ჩემი მომართვა თქვენამდე მოვა და იმედა რეაგირება.

ნინასწარ გისდით მადლობას.

პატივისცემით,  
ტარიელ დოლიძე  
599 55 85 07  
აპრილი 29.08.2016

# სამგლე გოჭები, ამჟამინდელი პარტიზანი და გოგლი-მოგლი

ხდება ხოლმე – აგვიკითხება რაღაცა და არ მოგასვენებს, სლოკინით ვერ მოიშორებ.

მეცნიერებაში ამას პერსვერაცია ეწოდება, ხალხურ მეტყველებაში კი, ალბათ, უფრო სამგლე გოჭი შეესაბამება. იტყვიან, რას გადამეკიდე სამგლე გოჭით, ანუ გოჭით, რომელიც თავისი მოუსვენარი, აბეზარა ქცევით აუცილებლად მგლის ლუკმა გახდება.

სამგლე გოჭებით არის გადასებული თბილისი, საქართველო. იმათი ქცევითი ყურთასმენაა წაღებული.

იმისი არ იყოს, შენი არ იცოდე და სხვისი ვერ შეისმინო, სამგლე გოჭები ქვივიან, კვივიან, ღრუტუნებენ, ძუძუს წოვის დროსაც არ ისვენებენ. თუ ყურის ძირში მოფხან, წამოწევიან და თავლებს მინაბავენ. ეს მათი დროებითი „გამორთვის“ ეფექტური ხერხია. ასეთი გოჭები სწრაფად ღორდებიან, უფრო სწრაფად, ვიდრე იმათი შედარებით მშვიდობიანი დაძმები.

სამგლე გოჭები იმითაც გამოირჩევიან, რომ ხშირი ყურის ფხანვის შედეგად ხელზე იოლად მიიჩვენებ და გაანუნებ. ჰოდა, გოჭს თავისთავად რა სინდის-ნამუსი მოეკითხება და ახლა განუნებულს.

ნაწინააღმდეგარაობა, ნივინი და ნუფნუფი ცივილიზებული, ევროპულად აღზრდილი განათლებული გოჭები იყვნენ, არა სამგლენი, მაგრამ მაინც კინალამ მგელს შეაქმევიანეს თავი. ახლა წარმოიდგინეთ, ჩვენებურები რომ ყოფილიყვნენ, იქ რა ცოდვის კალო დატრიალდებოდა.

გოჭს, სამგლეა თუ თონეში შესწავლი, ყოფით პრაქტიკაში ერთადერთი დანიშნულება აქვს: ან გოჭობაში დადოს თავი სუფრაზე ან ღორად აღესრულოს.

ღმერთმა უწყის, რომელი ჯობს!

მაგალითად, ირაკლი აბესაძისთვის რომელი უმჯობესია, ახლავე გაიჩაროს პირში ბოლოკი და მიყურდეს თუ ნიკანდრო მელიასავით დალორდეს და ნებისმიერ შემხედდეს დაუოკებელი სურვილი ალუძრას, სარს სტაცოს ხელი და გვერდები აუჭრელოს ღობემძვრალა ქოსმენს.

ერთი რომ იყოს, ორი რომ იყოს, კიდევ გაუძლებდა კაცი, მაგრამ ბევრნი არიან, ძალიან ბევრნი, ჯგუფ-ჯგუფად ქვივილით დაგდვენ, დასუნსულევენ, ფეხებში გედებიან, ქვეყანას ამაღლიან თავიანთ ხანმოკლე არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ძუძუს ანასტლეტები არიან, გიორგი კანდელაკი, ოთო კახიძე, გიორგი გაბუნია, გოგა ონიანი და სხვები და თანაც დაღორებან ბევრი არაფერი უკლიათ, ძალაუნებურად პოეტის შეგონებას გაგახსენებენ, „არ გრცხვენიათ, გოჭებო, ღორებო იქცევით!“

არადა, მართლა ღორებით იქცევიან, როგორც იტყვიან, უფროსი არ იციან და უმცროსი, ერის ისტორიაც ფეხებზე ჰკიდობა, დღევანდელი მობა და სხვაინდელი მობა. მთელი მათი ბიბლია და სახარება ის არის, რომ როგორმე ნაცები პარლამენტში შეტენონ, როგორმე ბიძინა ივანიშვილი ბოტანიკური ბაღის ჩამოკვების მიხედვით ან მისი მილიარდების საექვო წარმომავლობა დაადგინონ.

აი, ამ დღეებშიც სამგლე გოჭებმა იმდენი ქნეს, რომ ყოველთვის დინჯი და თავშეკავებული თბილისის მერი მაინც გამოიყვანეს ნონასწორობიდან, რასაც ამდენი ხანია, ამოად ცდილობდნენ. ვეღარ გაუძლო და ერთ-ერთ გოჭს „მაიმუნი ვირიშვილი“ უწოდა.

არა, არ ვამართლებ. უნდა გაეძლო, თავი უნდა მოეთოკა. უზრდელი და თავხედი გოჭი დავალებული მიზნის მიღწევით არ უნდა გაეზარებინა. მაგრამ წარმანიაც კაცია, გინდ მერი იყოს და გინდ უუფუნა.

მთავარი მერე იყო, როცა თავშეუკავებელი წარმანია საკრებულოში დაიბარეს და საკრებულო აღორბულ წყალს

დაემსგავსა (აღორბულ წყალს ქსნის ხეობაში ადიდებულ მდინარეს უწოდებენ, რომელსაც ყველაფერი მიაქვს).

თუმცა იმდღევანდელ საკრებულოს სხვა სახელიც მოუხდებოდა – ღორობა. ეს იმერეთში ბავშვთა ერთგვარი თამაშია, რომლის არსსაც თვით სახელწოდება გვაგმნობს.

ვიმეორებ, არ იყო მოსანონი მერის თავდაუტყურლობა, მაგრამ ისიც ხომ სათქმელია, რომ ამ უბედურ წარმანი-



ას მთელი ორი წლის განმავლობაში, რაც ამ თანამდებობაზე მოვიდა, ერთი წუთით არ ჰქონია მოსვენება. ისე ააგდეს ამ ნაციონალებმა, ენჯეოელებმა, ჟურნალისტებმა, ელისაშვილ-აბესაძემ, სხვადასხვა ჯურის პარტიზანებმა და სხვა სამგლეებმა, რომ მერობა კი არა, ელარჯი შეაძულეს. ჯერ იმაზე აუხირდნენ, თბილისელი არ არისო. არადა, ყველას „დაავიწყდა“, რომ კორსიკელი ნაპოლეონი საფრანგეთის იმპერატორი გახდა, გორელი ჯულაშვილი კი – საფრანგეთზე ათჯერ უფრო დიდი რუსეთისა და მისი მიმყოფელისა.

არადა, რამდენი ერთი გოჭებისგან სიცოცხლეგამწარებული დაიარება დედაქალაქში და თავისი დაბადების დღეს წყევლის.

ეს ერთი ხანია არარსებობიდან გამოძვრა ვინმე პარტიზანი მეზაღე ნატა ფერაძე, რომელსაც გოჭი ნამდვილად აღარ ეთქმის, კახისის დანებებულია, არსება, რომელსაც ახლახან მერიის წინააღმდეგობიდან სადილობამდე საპროტესტო ფსევდოშიშილობა დასჭირდა, რათა თავისი წინა, პარტიზანობამდელი ცხოვრების საიდუმლო გაემხილა ტელეეკრანით, მილიონობით მაყურებლის თანდასწრებით: ევროპაში, კერძოდ ჰოლანდიაში წლობით ყოფნისას იმით ვიყავი დაკავებული, რომ ვცქყ... ურობდიო.

რატომ ჩათვალა პარტიზანმა ქალბატონმა, რომ ამ გულახდილობით ვინმეს გააკვირვებდა დღევანდელ საქართველოში, სწორედ რომ გაუგებარია.

ჯერ ერთი, ევროპა-ამერიკაში გასული ბევრი ჩვენი თანამემამულე კაციცა და ქალიც, ხალხით მისდევს მაგ საქმეს, მეორეც, ის ორგანო, რომელსაც ქალბატონი ფერაძე თავისივე აღიარებით ასეთ მძიმე ექსპლოატაციას უწევდა (და ალბათ დღესაც, სამშობლოშიც ისევე თავდადებით მოიხმარს), მისია და ღმერთმა კვლავაც დამკვეთურად მოახმაროს, ჩვენ რა გამგე ვართ მაგისა! მაგრამ ტელემაყურებლები რატომ გაგვხადა თავისი სექსუალური ალტკინების თანამონაწილედ?

სრულიად შესაძლებელია, პარტიზანი ნატა ჰოლანდიაში რომ დატყნ...რობდა, ეს მაინცდამაინც ოდენ მოჭარბებული სექსუალური მოთხოვნების, ანუ მდაბიურის ენით რომ ვთქვათ, თავისი აბორგენული ტუტუას აყოლა კი არ იყო, არამედ ამ სახის უალრესად მძიმე და ფართო საზოგადოებრივი შრომით პიროფლიანი სჭამდა პურს არსობისას?

მისმა გულწრფელობამ ის დადებითი შედეგი მაინც გამოიღო, რომ ჩვენი საზოგადოება ამიერიდან უფრო ყურდაცქვეტილი დააყურადებს ყველა საექვო პარტიზანი მეზაღისა თუ მეზობლის საქმესაც და სიტყვასაც. როცა ქალი ალაშს გაშლის, ამის გამკეთებელი ვარო, შეიძლება სათავისოდ ხელსაყრელი იყოს, მაგრამ საზოგადოებისთვის საექვოა, გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, როგორც ვიხილეთ, ამ ექსპერიმენტის დასაწყისი ერთობ უიმედოა.

ახლა ახალი სკანდალი აგორდა. თბილისის საკრებულოს დამოუკიდებელი დეპუტატი ალექო ელისაშვილი გამოვარდა გუშინწინ ტელეეკრანზე კორიანის ხარისხით, როგორ თუ „ქართული ოცნების“ მდივანმა გოგლი-მოგლით გაზრდილმა ირაკლი კობახიძემ ჩემზე ეჭვი გამოთქვა, თითქოს 2012 წლამდე საპროტესტო აქციებში არ ვჩანდიო. თუ ბოდიშს არ მომიხდის, არავე თარ აქციის აღარ გავეკარებ და შედეგზე თვითონ აგოს პასუხიო. მაშინვე გამოვიდა ასევე საკრებულოელი სევედია უგრეხელიძე და რამზეს მერის მუმიასავით უძრავი სახით დაამოწმა ელისაშვილი 2012 წლამდეც ისეთივე არგასაზრდელი იყო, როგორც დღეს არისო.

ისე, გოგლი-მოგლი რატომ შესწავლა კობახიძეს, გაუგებარია, რაკილა „ძველი ბიჭები“ ერთ დროს ასე „ამცირებდნენ“ შეძლებული, უფრო სწორედ, ინტელექტუალური ოჯახის შვილებს (ამ წამოძახებაში ცოტა არ იყოს, შურიც ისმოდა).

ჩვენში რომ დარჩეს, გოგლი-მოგლით გაზრდილი ალექსანდრა კოლონტაის მძღ...ნაჭამ სიმონ ტერ-პეტროსიანზე – კამოზე ნაკლები არ გაუკეთებია რევოლუციისთვის. ის ქალბატონი მაგარი იატაკქვეშელიც იყო, დიპლომატადაც ივარგა და ნატა ფერაძესავით არც ბოზობაში შეურცხვენია თავი, სულ შვილის ტოლი საყვარლების რიგი ედგა.

ისე რომ, ახლა-ახლა სმაურები არ გველევა. რაც უფრო ახლოვდება არჩევნების დღე, ეს სმაურები სულ უფრო ცხარდება და ყოვლისმომცველი ხდება. ისე, ზოგ სმაურის წამომწყებს შეიძლება თავიდან ამის განზრახვა არც ჰქონდეს, ვერ ხვდებოდეს, რომ თავისი უადგილო გამოსდომებით ნაცების ნიქვილზე უშვებს წყალს.

ნაცები კი, რომლებმაც პირველი საარჩევნო ოცუელი თოფის ტყვიებით ჩამოარგიეს, ყველაფერს სათავისოდ ექაჩებიან და არ დაგიდვენ, რომ რევოლუცია სუფთა ხელებით უნდა გაკეთდეს.

თუმცა როდის, რომელი რევოლუცია გაკეთებულა სუფთა ხელებით? რევოლუცია იმისია, რომ ქუჩიანი საქმე სწორედ ქუჩიანი ხელებით კეთდება. მაგრამ ქუჩიანი არის და ქუჩიანი – სულ განავალში არ უნდა იყო ამოვლებული ჩურჩხელა-სავით.

ალეკო ასლანიშვილი



## ნარმანია გლდანელას მსტუმრა

თბილისის მერმა დაავტომატირებ ნარმანიამ გლდანის რაიონის გამგებელ დიმიტრი ორმოცაძესთან ერთად გლდანის რაიონში დასრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაათვალიერა.

მერიის ცნობით, სამუშაოების ფარგლებში, ავჭალაში, წყალსადენის ქუჩაზე, 2 800 კვ.მ ფართობზე გზის საფარი დაიგო და 1200 მეტრი სიგრძის ბორდიურები მოეწყო. სამუშაოებისთვის გლდანის რაიონის გამგებმა 165 000 ლარი გამოყო. აღნიშნულ ობიექტზე, ყოფილი სასტუმრო „ბასტირონის“ შენობაში, შიდა წყალ-კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებაც არის დაგეგმილი. კორპუსში ამჟამად დენილები ცხოვრობენ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი სამუშაოებისთვის გლდანის რაიონის გამგეობა, დაახლოებით, 47 000 ლარს გამოყოფს.

გარდა ამისა, თბილისის მერი დასრულებულ სამუშაოებს გაეცნო მუხიანშიც, სადაც დუმბაძისა და ნონევილის ქუჩების დამაკავშირებელი გზის მონაკვეთის რეაბილიტაცია დასრულდა. ობიექტზე 2850 კვ.მ ფართობზე ასფალტის საფარი დაიგო და 1050 მეტრ სიგრძეზე ბორდიურები მოეწყო. აღნიშნული გზის რეაბილიტაციისთვის 144 395 ლარი დაიხარჯა.

2920 კვ.მ ფართობზე გზის საფარი დაიგო, ასევე, მუხიანის მე-4 მ/რ-ის 26-ე, 27-ე, 28-ე, 38-ე და მე-40 კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც მთელს პერიმეტრზე 977 მეტრი სიგრძის ბორდიურებიც მოეწყო. პროექტის დიზაინერებმა 193 672 ლარი შეადგინა.

## დიღუბის რაიონს 12 განახლებული სკვერი შეემატა

გამგეობის თანამშრომლებმა დაზიანებულ სკვერებში აღრიცხეს არსებული დაზიანებები, ამის შემდგომ კი ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ სკვერების რეაბილიტაცია განახორციელა.

სკვერებში მოეწყო ბორდიურები და დეკორატიული ფილები, დაიდგა საპარკე სკამები და ურნები. ტერიტორიები შემოიღობა ლითონის დეკორატიული ლობით, პატარებისთვის კი დაიდგა სათამაშო ატრაქციონები კაუჩუკის რბილი იატაკით. სკვერებში აგრეთვე დაემონტაჟდა საწრდილობები.

სკვერების რეაბილიტაციის სამუშაოებისთვის გამგეობის ბიუჯეტიდან 170 000 ლარი დაიხარჯა.



# კაი ყმა

თუ არ მიწყენ და ნათქვამს გარდასულ დროთა დატორებად არ ჩამომართმევთ, გაგზავნა და ვიტყვი, რომ კარგ ყმათა იერ-სახე ლიტერატურაში კი არა, ცხოვრებაშიც დაგვიკინდა და დაგვიმცროვდა, ისევე როგორც ყოველი მხრიდან ჩამოთლილ-ჩამოსწორებული ცაფირუხი სამშობლო ჩვენი.

მონყალე მკითხველი თუ არ გამინანყენ-დებთ, ერთხელ კიდევ გადავირბენ მოგონება-თა ბაღანარში: ძალიან მიყვარდა ჩვენი ულა-მანესი ქვეყნის თვალნარმტაც კუთხეთა მონახულება. რედაქციები დაგვალეგებს მაძღვე-დნენ, იცოდნენ მუყაით მშრომელებზე წერა რომ მიყვარდა და ასეთ პირობებს დავუქებდი. ხან აღმა ვიყავი, ხან დაღმა. დღეს რომ ტარი-ბანას გადახრუკულ ველებში დავდიოდი, ხვალ აღაზნის ველისაკენ გამინევდა გული, უფრო შორსაც ვაგვირღვევარ, ქვემო ქართლი-დან შინ მოუბრუნებლივ შემომივლია მესხეთი, იქიდან აჭარისკენ გამქცევია გული. ჩემი საღებავგაცვეთილი ძველი ჟიგულის იქა-ურ ნალკოტებსაც ბევრჯერ სწვევია. არც გურია-სამეგრელოს, რაჭა-ლეჩხუმს და სვანეთს ვტოვებდი მოუწახლეულს. ყველგან ქვეყ-ნის გადამრჩენ, მაღლიანი მარჯვენის პატ-რონს დავუქებდი და ვპოულობდი კიდევ-მცხვარესა თუ მენახიერს, მეჩაიე-მეციტრუ-სებებს თუ მევენახე-მებაღეებს. ახლაც გამი-წვევს ხოლმე გული ნაცნობი ადგილებისკენ. დავდივარ და დავუქებ გამრჯე და ქვეყნის ჭირ-ვარაზის განმკითხავ მუშაკებს, ჩვენს დიდ-ებულ ენას, „კაი ყმა“ რომ დაურქმევია.

ამჟამად გორს რომ გავცდი ესტაკადით და ახლად გაჭრილ გვირგვინს რომ უნდა მივახ-ლოვებოდი, გამექცა თვალი შიდა ქართლის ვრცელი დაბლობისკენ. შემოვებრუნე მანქანა, დავადექი ცხინვალის გზას, რომელიც გაუქ-მებულ რკინიგზას მისდევს. შემპარავი ძალ-ლივით მომდევს სევადა: რამდენ კაი ყმას ვიც-ნობდი ამ ადგილებში, რამდენი მათგანი გა-მიცნია ერისა და ქვეყნისთვის. ნეტა თუ არიან სამზეოზე, ნეტა თუ ისევ ეწვიან უღელს? ერთგან, გზის პირას, ჩანთებს შორის ჩამ-დგარი კაცი დაინახე. ხელის აწვეით მანიშნა დამგზავრების სურვილი, ჯანიანი ბიჭი კი ჩანდა, მაგრამ ჩანთების მანქანაში შემოტა-ნა, ცოტა არ იყოს, გაუჭირდა. რკინა ან ქვა ხომ არ გიდევს-მეთქი, გავეხუმრე. არა, სანო-ვაგეაო, რუსთაველში ვმუშაობ, აქა მშობლები მყვანან და ზაფხულობით ცოლ-შვილი აქ ჩა-მომყავსო.

კი, მაგრამ ქალაქიდან სოფელში სანო-ვანის ჩამოტანა სადაური წესია? - გახუმრე-ბით ვკითხე.

- ასე უფრო იოლას გავდივართ, - წყენით მომიგო.

ალარ ავეყვით, დამგზავრების სანაცვლო ყველგან ჩამომართმევდა. ვიყუჩე ერთხანს, არც ის ამბობდა რამეს.

- აქ, ამ ადგილებში, ბევრი კარგი მუშა-კაცი მასხოვს. მაშინ აქედან ქალაქში ეზიდე-ბოდნენ სანოვანებს, - მაინც გამექცა სიტყვა.

- ჰო, მაგრამა, იცით, როგორ არის? აქ მოყვანილი კარტოფილი უფრო ძვირი გვიჯ-დებდა, ვიდრე ბაზარში ფასობს. ასეა სიმინ-დზე, ხორბალზე, ლობიოზე... რომელი ერთი ვთქვა.

- აკი, მთავრობა აფინანსებს სენასა და თეს-ვასო?

- აფინანსებს, მაგრამ აუღის კი მოცემუ-ლი თანხა მექანიზატორთა მოთხოვნას, შხამ-ქიმიკატებს, სასუქებს? ხევა-თესვისა და მო-სავლის აღებისას ტრაქტორისტი გაცილებით მეტს ფასობს, ვიდრე ყველაზე ძვირად შესა-ნახი მინისტრი. აგე, არა მსურდა და გავიკ-რიფე ენა.

კარგა ხანს ისევ ჩუმად ვიარეთ. ჩემი თა-ნამგზავრი, ზედ ეტყობოდა რაღაც ძნელად საფიქრალს შესჭიდებოდა და არ შევან-უნხე, მჯეროდა, გამოსავალი სისხლი გამოვიდო-და.

- თქვენა საით მიემგზავრები? - მკითხა.

- ქვეყანა დიდია, ავიღო, ჩამომივლი. ამ გზაზე ბევრი მივლია, სანამ პუტინსა და მის დამქაშებს საცნაური აერეოდათ.

- აქაურებსა თუ იქაურებსა?

- საქართველო ვის გაუგია უღალატო? მეც მანდა ვარ, აკი დავგერჩა კუდნაკვეთილი და ხერხემალში გადაკბეჩილი ქვეყანა. ამანაც გააძვირა კაცურ კაცთა პოვნა. თავი რომ გა-მოინინო და კაი ყმის სახელი დაიდო, საქმე უნდა აკეთო, ღვთისა და ერისთვის სარგებ-მის მიზნითა საქმე. აგე, ხედავთ, არავი-ნაც მინდორში რომ არ მუშაობს? გაბზრე-ბულია ხალხი. მთავრობაში კი შენ-ჩემობას თამაშობენ. ქვეყნის სამ მთავარ კაცს საერ-თო სიტყვა ვერ გამოუწახავს. ჩავკადნა ხელში მამა-პაპათა სისხლით აქამდე მოტანილი ქვე-ყანა. კაცი ვარ მეცა, ჩემი ქვეყნის შვილი. მო-მავალს ვზრდი, ვვზარობ.

- კი არ უნდა ვიჯახიროთ, უნდა ვიცხოვ-როთ, ბატონო. არ შეიძლება რამე სახსარი არ გამოგვიჩნდეს.

უცებ სახიდან ჯავრი გადაიყარა, გვონებ დაადგა თავი მთავარ საფიქრალს:

- ისე არაა მთლად წახული ჩვენი საქმე. კაი ყმაო, ბრძანეთ. ჰოდა, გვეყვანან ნაღდი საქ-მის მკეთებელი კაი ყმები, ჯერ კიდევ.

- აგერ ვარიანის გადასახვევი, მერე ჩემი სოფელია და იმის იქით ქვემო ნიქოზი რომ გათავდებდა, ჩვილივით მოვლილ სანერგებს რომ წაანყდები, იკითხე და კაი ყმასაც მიგას-წავლიან. იმას არც სახელი სჭირდება და არც სახელი, მაგრამ კარგია მაინც რომ გაიცნო, გულს მოგვეფონება, ხალხის მოგვეცემა.

- მაინც რას საქმიანობს თქვენი კაი ყმა?

- მგონი, კითხვა ჰუმორით იყო დასმული, რაც ჩემი თანამგზავრის სათუთ გუნებას შეუქმ-ნევსოდა არ დარჩენია.

- ასე მეგონა, სოფელ-ქვეყნის საყრდენ კაცს დაქებდით, ჰოდა მიგასწავლეთ, ქვემო

- აჰ, არა, ბატონო, მაგ საკითხზე მაგას-თან არ გირჩევთ ლაპარაკს. იგი სულ სხვა კა-ცია, აღმატებულია დეპუტატი და პოლიტი-კოსი.

ცოტა არ იყოს უცნაურად გაიჟღერა მისმა ბოლო სიტყვებმა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ რომ მოვუსმინე ... გალექილი ბასობა სულ. ესეც შენი დინჯი ქართული? - ვამბობდი გულში.

გაილია სოფელი და წინ, ჰორიზონტამ-დე ველებია სულ. საარვისოდ განწირული ბა-ლები და სახნავ-სათესი, საძოვარი და ტყე. ტყე და ველი აკლდეს ვითომ აქაურობის მიმტა-ცებელს, ვი დედებს!

უფრო ახლოს, თვალს რიგებდა ჩაყოლებუ-ლი სანერგები ახარებენ, ხალხი ფუსფუსებს შიგ, წვეთოვანი სარწყავებიც გაუმართავი, და-ვარცხნილ-დაბანლივითაა აქაურობა.

ჩემი ჩიჩქორონეს დაძახილზე სანერგეში მო-ფუსფუსებებს ერთი ბრგე ახალგაზრდა გამო-ეყო. სანდრო კანდელაკის სამშობლოში



### რა აიძულებს გაყიდულსა და გასხვისებულზე ზრუნვას ქვეყნის კეთილდღეობისთვის მოფიქრალს?

ნიქოზში რომ ახვალთ, პატარა ბაღლი რომ შეგხვდეთ, გნებავთ იმას ჰკითხეთ, ვინ არის მათ სოფელში ჭეშმარიტი ქების ღირსი და გი-პასუხებთ. - ეს რომ თქვა, გაჩერება მოხოვა, თავისი ბარგი-ბარხანა გადაიტანა და დამემ-შვიდობა.

ავისირებ ხოლმე მეც, ხალხს თავის და ოჯახის რჩენა გასჭირვებია და მე კი კაი ყმა მაჩვენეთ-მეთქი. მივეყვები აქა-იქ ამოჩიქნილ მოასფალტებულ გზას და ...

ხარისხა, დაიხ, ჩვეულებრივი სამხედრო სა-გუშაგო ავტომობიანი ჯარისკაცებითა და გუ-შაგებით.

რაღაცნაირი რეჩხი მიყო გულმა. კაი ყმის ძიებას ისე შორს ნავეყვანე, რეალობას აღარც კი ვხედავდი. არადა, ბატონი პუტინის „და-მაშინა ზაგატოვკა“ შედეგი სულაც არ გახ-ლავთ ანგარიშიდან გასასწავლებლ საკითხს.

ჯიხურიდან მთასავით ბიჭი გამოვიდა, წვერმოშვებული და უძილო თვალებით. სა-ით მიბრძანდებოდა, მკითხა.

- თქვენი ნებართვით, აგვე, ცხინვალს ... ცრუ კაცთა ყბედობით ჩემზე გაგულისხმებულ მოყ-რებში მსურს გასიერება.

- ბარემ მეც გავისიერებდი. კარგია ოსუ-რი ხაზიზინები. - სიცილით მითხრა და კითხ-ვა გამიმეროა.

ვუთხარი ასეა და ასე ჩემი საქმე, კაი ყმას ვექებ ვინმეს-მეთქი.

- გელა! - დაიძახა დიდმა ბიჭმა. - გაა-ცილეთ ეს ადამიანი გიორგი მჭედლიძესთან. მერე იქა ხელს არ გადაყვე შენებურად.

მანქანაში წვერწამოზრდილი ბიჭი ჩამიჯ-და. გავუდექით გზას, გელა იმით დაინტერეს-და, საიდან ვიცნობდი გიორგი მჭედლიძეს და რა საქმე მქონდა მასთან. ვამცნე ხლების მი-ზეუბი. მართლაც რომ, სწორ გზას ადგახართ, მაგისთანა კაცი ქვემო ნიქოზში კი არა, ბა-რე მთელ ქართლში ძნელად თუ მოიძებნებაო.

მიდგა მერე და სანამ მომცრო მაღლობი არ ავიარეთ, ენა არ გაუჩერებია: აქო და ადი-და თანაყოფიელი, სოფელს მაგითი უდგას სულიო.

- ასეთი კაცი თუა, აირჩიეთ დეპუტატად, სა-ამისო დროა ახლა.

სპორტული აღნაგობით ვის გააკვირვებ, მაგ-რამ თვალი სვამს და თვალი ჭამსო, უთქვამთ. უხდებამ ამ კაცს ვიზიკური ახოვანება, რაღაც-ნაირი პუნთია და ხიბლით მოაბიჯებს, თით-ქოს ერიდებო მინას, ფეხს რომ ადგამს ზედ. ჩვეულებრივი სალამ-ქალამი, გულითადი მო-კითხვა-მონახულება. შემდეგ? ... რატომ ვი-არე ამდენი, რისთვის გავისარჯე, ან საქმეულ-საკეთებელს რისთვის მოვაცდინე ეს გამრჯე კაცი. გავჭერი და ვთქი:

- კაი ყმას დავექებდი და შენთან მომასწავ-ლეს, მიმიღებ, კარგია, არადა, უკანა გზა შეკრუ-ლი არა მაქვს.

- რაკი თქვენით მობრძანებულხართ, წას-ვლაც თქვენი ნებაა და ძალას ვერ დაგატანთ დარჩენაზე. ისე, მაინცდამაინც კაი ყმობაზე-დაც ვერა და ვერ ვდებ თავს.

კაკლის ხის ჩრდილში გამლილ გრძელ მა-გიდასთან ჩამოვსხედით. კითხვას პასუხი მოჰ-ყვა, სიტყვას სიტყვა და გაჩაღდა მუსაიფი. ჭეშმარიტად ბევრი მოუსწრია 42 წლის ასაკ-ში ქვეყნის თავისუფლების მოყვარულ კაცს. ბედ-იდბალს ამერიკაში გადაუსხვენავს ჯერ კიდევ ყმანვილი.

- არა, თავის გატანისთვის და ლუკმის სა-ძებრად ნაღდად არ წავსულვარ, ღვთის წყა-ლობით, ხელები მასხია, შრომა არა მძულს და თავს, როგორი სიმწევეც უნდა ყოფილი-ყო, აქაც გაგიტანდი, მაგრამ იმ თავიდანვე იმ აზრს ვადექი, როგორმე ისეთ ადგილზე მოვ-ხედრილიყავი, ისეთი საქმის კეთება მესწავ-ლა, თავიც დამეჩინა და ქვეყანასაც შეგი-დებოდი სიღატაკის მარნუხებისგან თავის დახსნაში. დიდი ფულის შოვნა და ზღაპრული გამდიდრება არ მიტაცებდა. სიმდიდრესა და ფულს, ჩემი გაგებით, მაშინ ადევს ფასი, როცა თანდათანობით, მოთინებებითა და სხვათა შე-ვინროების გარეშე გაგიჩნდება. არსად დე-დამინაზე და მათ შორის ამერიკაშიც თვი-ნიერ შრომასა და გამჭრიახობისა, ვერც სა-ხელს ჰპოვებ და ვერც ფულს იშოვნი. ამაში ღრმად დარწმუნებულმა დავიწყე მუშაობა კალიფორნიის სტატის ერთ-ერთ მეურნეო-ბაში, რომელიც კაკლისა და ნუშის ნამყენის გამოყვანა-გაშენებით იყო დაკავებული. კა-

კალი, მოგესხნებოთ, ერთ-ერთი ძვირი პრო-დუქტია მსოფლიო ბაზარზე და ძირითადად, სხვა ქვეყნებიდან შემოაქვთ. ადგილობრივი ნედლეული, სიმცირის გამო, სანახევროდაც ვერ აუღის მოთხოვნას. ნებისმიერი საქმე კი ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად ვითარდება. ამერიკიდან დაბრუნებულმა რამოდენიმე მე-გობართან ერთად ხელი ამ საქმეს მოვკიდე, ღვთის წყალობით არა გვიშავს. ჩიტი, სწო-რედ რომ, ღირს ბრდღენად.

- მაშ გყავთ მომხმარებელი?

- შედარებით მოკლე დროში სრულიად სა-ქართველოში ორი ათასი ჰექტარი კაკლის პლანტაცია გავაშენეთ, მეტწილად კახეთის ზო-ნა ყოჩაღობს. ჰექტარზე თუ საშუალოდ ათასი ძირი ირგვება, გამოდის, რომ ორი მილიონი ხე დაგვირგავს. ახლა კიდევ ერთი პატარა ანგარი-ში: დარგვიდან ოთხი-ხუთი წლის შემდეგ ერ-თი ძირი, ყველაზე მცირე, ორმოც-ორმოცდა-ათ კილოგრამ ნაყოფს მოიხსამს. ხედავთ, მილი-ონებში გადადის ანგარიში. ეს დოვლათია, მო-გებაა, სიმდიდრეა. ასეთივე წარმატებით მიღის ნუშის ბაღების გამრავლება, რაც მომავლის საქმეა.

- დარგვასა და მოვლას თქვენ განაგებთ?

- დაიხ. ჩვენ. დარგულის მოვლასაც ჩვენვე ვაკონტროლებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, ისე-თი ვაიფერმერიც გვხვდებოდა, ათასობით ღარს დააბანდებდა საქმეში და პლანტაციის მოვლაზე თავს არ ინუხებს. არადა, ბავშვივით სათუ-თი და საფერებელია ეს ძირკეთილი. ვაზის მომვლელ კაცს, რაღა თქმა უნდა, იშვიათად რაიმე გაუძნელდეს, მაგრამ „ხვალ გავაკეთებ“ საშინელი სენია. აგერ, გორიდან მირეკავს ჩვე-ნი წარმომადგენელი: იქ გასულ ნოემბერში დარგული კაკალი ვერ არის კარგ დღეში, მო-უვლელობა, ბაღში თავგები გაჩენილან ფესვებ-ში.

- თავგები? - გავიკვირე.

- კი თავგები, შევლენ ფესვებში, გაჰყავთ გზები, ლაბირინთები, აზიანებენ ფესვებს, ნერ-გი კი ერთხელ თუ დაიარგა და დაინაკრა, აღ-რაფერი ეშველება შემდეგ.

- გამოდის, რომ თქვენ ზედამხედველო-ბას უწვეთ პლანტაციების მომავალს. გვეალე-ბათ?

- არა, ჩვენივე ინიციატივით ჩავდივართ ამას. გვერდება ნერვი და უთავო კაცის მიერ წყალში გადაყრლილი ფული.

- ხშირად ხვდებით ასეთებს?

- ამ ბოლო დროს არა, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე. აგერ დღეს გორში მელიდებია. ჩვენი წარმომადგენელი იქა, გაოსხრებული პლანტა-ციით. პატარონი დავიბარეთ, თორმეტზე უნდა შევხვდეთ.

მე, რაღა თქმა უნდა, ცოტა გაკვირვებუ-ლი ვუსმენ გიორგის და იმ აზრის დაჭერას ვლამობ, რაიცი გაყიდულ და გასხვისებულ ნერგებზე ზრუნვას აიძულებს ამ კეთილმო-ბილ ადამიანს. აბა, წარმოიდგინეთ, სიკეთის რა დონეს მიადნევს ქვეყანა, ყველა მეორე კი არა, მესამე ან მეოთხე იქცეოდეს ასე.

- ორი წელია, ზედ საოკუპაციო ხაზზე ავი-ლეთ მიწები, ოთხმოცი ჰექტარი სულ. ბიუროკ-რატიული ხელშეშლა რომ არა, შარშან ნოემ-ბერში გავანაშენებდით. ვიცით, სადავიდარა-ბო საქმეს შევეჭიდეთ, მაგრამ ეს ადგილები ჩვე-ნია და უნდა მიხედოთ.

- როგორ, რუსებს მიწები დაათმობინეთ?

- ასე ხმამაღლა არა, მაგრამ მოლაპარაკე-ბამ თავისი წილი გააკეთა. წელს ნოემბერში ჩა-ყრი ნამყენს, ოთხ-ხუთ წელიწადში ოთხმოცი ჰ-ექტარი კაკლის ბაღი იქნება. იცით, რა შრომა-ტევადია ეს სამუშაო? აგერ ეს ქალები მცნობე-ლები არიან, დღეში ოთხი ათასჯერ ჩაბუქნიან ხოლმე, ზეზეულად უხდებოთ დამწნობა, აბა სა-ძირეს ვერ ამოიღებ და ისე ვერ დაამწნო.

- დამისახლეთ ბუჯითი, გარჯის მოყვა-რე ადამიანები.

- ერთი, რომ აქ ყველა ბუჯითია და სხვაგ-ვარად ვერც იქნება. ისე უკეთესთა შორის საუ-კეთესონიც გვეყვანან: აგერ, ჩემი მარჯვენა ხელი ვანო ბუგაიანიშვილი. რუსეთში ბიზნესმენობდა, კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ჩე-მი სიყრმის მეგობარია. შევეხმიანე, საქმეს ვინყებ და რას იზამ-მეთქი? ჩამოვიდა. აგერ ეს ქალები, ზაიარა და მერი გრიგოლოვები, აქეთ ზურაბ და გიორგი კანდელაკები, ზაზა ნაოჭაშ-ვილი, ერთი სიტყვით, მთელი კოლექტივი კარ-გი და გულმისანდობი გყავს.

- მაშ, ღმერთმა ხელი მოგიმართო!

- იცოცხლეთ, გაიხარეთ!

ესეც მთელი ბლა-ბალია. რა დიდი ჯახირი უნდა მშრომელ, გამრჯე ადამიანებზე საგაზე-თო წერილის დაწერას. განა ეს არ სჯობს ყბე-დი პოლიტიკოსის რატარობს იმის თაობაზე, რომ მისით იწყება კაცობრიობა და თავად და მისი გუნდია დედამიწის ჭიბი. არადა, ბევრს ჰგონია ასე. ღმერთმა შეუნდო!

დავით ასაურაძე

გამოგვიხაზეთ!

ერი, ისევე როგორც ადამიანი, არის ბავშვი, არის ზრდასრული და არის სანდაზოვი. ქართული ერთმნიშვნელოვნად უკანასკნელი რიცხვი მიუთითებს...

ალბათ ხშირად გაგიგონიათ ფრთხილი ფრაზა — „როცა შოთა „ფეხისტყა“-ოსანს „წერდა, ისინი ტყეში დარბოდნენო კეტებით“... გარკვეულწილად სიმართლეა... იმ დროს, როცა ქართველი კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებდა და ასეთს ეწეოდა, მავანი, დავუშვათ სკანდინავიელი, ვერცხლის ლანგრის გულისთვის კაცების, ქალების და ბავშვების სისხლს ღვრიდა და ამას მეომრულ სულისკვეთებას უწოდებდა. როცა ქართველი კულტურულად ვითარდებოდა, სამართლიანად შეიძლება ითქვას, რომ ისინი ტყეში დარბოდნენ და მიუხედავად იმისა, რომ ზღვაოსნობაში ყველაზე მეტად იყვნენ განაფულნი და ზღვაოსნობის ფუძემდებლებად ითვლებიან, ამა-საც „ტყეში სარბენად“ იყენებდნენ, ოღონდ, ჩვენ თუ ზრდასრული და შეგნებული ერი გვერქვა, ისინი ჯერ კიდევ ბავშვები, უგუნურები და უგუნური ბავშვებივით შეუბრალებელი იყვნენ.

რა მდგომარეობა გვაქვს დღეს? დღეს ჩვენ თავისუფლად შეიძლება გვეჩვენოს ხანდაზმული, მათ კი ახალგაზრდა, ზრდასრული ერები.

მცირე გადახვევა. როცა ვამბობ — „ერი“, ვგულისხმობ თონისა და სახელმწიფოს ნაზავ წარმონაქმნს, თორემ ის ადამიანები, რომლებმაც საბოლოოდ ერთიანი სახელმწიფო, ერი შეადგინეს, ასეთის შედგენამდეც ცხოვრობდნენ, ცოცხლობდნენ, არსებობდნენ, თუმცა განსხვავებული თვითიდენტიფიკაციებით. ერი ხომ საბოლოო ჯამში, ეთნიკურ ნიშანთან ერთად, ერთი ჰომინის, ერთი დროშის ქვეშ მცხოვრებთა და საერთო ფასეულობების გამზიარებელი ადამიანების ერთობაა!

მოხუცი საქართველო



სახელმწიფოს, რომელსაც სახეცვლილები უნარი არა აქვს, არც თვით-შენარჩუნების უნარი აქვს. ედუენდ ბერძი

თობაა! ვილაცა შემედავება, მეტყვის, რომ ერს წარმოადგენს ბოშაც, ქურთიც... ებრაელიც ერს წარმოადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ ებრაული სახელმწიფო აგერ, მეოცი საუკუნეში, 1949 წელს შედგა და სამართლიანად ითვლება, თუმცა, ერი სახელმწიფოს გარეშე, ეთნოსის საკუთარი „სახლის“ გარეშე, რასაკვირველია, არასრული, არასრულყოფილი ერია... მე კი ამ შემთხვევაში მხოლოდ სრულყოფილ, „ჩაცმულ-დახურულ“ და „დაბინებულ“ ერებზე მაქვს საუბარი.

რა გამოარჩევს ბავშვს ახალგაზრდისგან, ზრდასრულისგან, ზრდასრულს — მოხუცისგან და მოხუცს — ბავშვისგან? ბავშვი მოუქნელია... ბავშვი პირდაპირია... ბავშვი, შეიძლება ითქვას, გონებაჩამორჩენილია, ამ სიტყვის პირდაპირი და, რასაკვირველია, არასამედიცინო მნიშვნელობით.

სრულწლოვანი, ზრდასრული მოქნილია... ზრდასრული უფრო მეტად პრაგმატული და გარკვეულ მიზნებს ადევნებულა... ზრდასრულის გონება დულს და ხარშავს, მეტ-ნაკლებად, რა თქმა უნდა. მოხუცს ბავშვისგან გამოარჩევს (გა-

მონაკლისების გარდა) ერთადერთი რამ: სხეულის სიძველე, მოხუცი მოუქნელია... მოხუცი პირდაპირია, მოხუცი, შეიძლება ითქვას, გონებაჩამორჩენილია, თუმცა ამ შემთხვევაში — „დულილისგან აორთქლებული“, სამედიცინო გაგებით გონებაჩამორჩენილი.

ბავშვს და მოხუცს ერთი საერთო და მეტად ძვირფასი თვისება აერთიანებთ — ისინი, ახალგაზრდისგან განსხვავებით, გულახდილები არიან და მიუხედავად იმისა, რომ გულახდილობას უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ სარგებლობა მოაქვს, ბავშვში, ისევე როგორც მოხუცში, ის ხშირად სისასტიკის ფორმებს იძენს. მთლიანობაში, რასაკვირველია, გულახდილობას სარგებლობა სხვაგან და სულ სხვა სფეროებში მოაქვს და არამცდარამც ხილულ, ხელშესახებ ყოველდღიურობაში. ვინ რას ვანიჭებთ უპირატესობას ჩვენი გადასაწყვეტია.

ახალგაზრდის მეტი პრაგმატიზმი და ნაკლები იდეალიზმი შენებას განაპირობებს, განაპირობებს პროგრესს. ახალგაზრდის ჰუმანიზმიც კი, თქვენ წარმოიდგინეთ, პრაგმატიზმს ეყრდნობა და

არა იდეალიზმს... ამდენად, შეიძლება გარკვეულწილად ყალბიც იყოს, თუმცა ეს არანაირ წინააღმდეგობაში არ მოდის ახალგაზრდის, როგორც სუბიექტის განვითარებასთან... ყოველ შემთხვევაში იმ მიმართულებებით განვითარებასთან, რა მიმართულებებით დღევანდელი კაცობრიობისთვის პრიორიტეტულად მიიჩნევა. ცალკე და არანაკლებ მნიშვნელოვანი თემაა რამდენად გამართლებულია პრიორიტეტთა სიაში მათი იმ თანამიმდევრობით განთავსება, რა თანამიმდევრობითაც ისინი დღეს გვაქვს განთავსებული... ამაზე სხვა დროს.

მოხუცი ერთმნიშვნელოვნად ბავშვობაში ზრდასრულად და ამის თვალსაჩინო მაგალითია საბარბანოთი და ეპიკრიტიკა... არ ბავშვობაშიც თუ ვიტყვი — თანამედროვე კაცობრიობის დედ-მამა... ამაჟამად ბავშვობა... მოუქნელი და გონებასუსტი მოხუცები. ის, ზამთრის ხანაში ბავშვობაში კი, რომლებიც თავის დროზე ბავშვობაში სისასტიკის გამო სისხლს წყლისგან ვერ არჩევდნენ, დღეს კალ-ლონით სავსე, შეცდომებზე ნასწავლი, გონიერი ახალგაზრდები არიან და მათთვის იმის შესახებაც, რომ „ვიფხისტყაოსნის“ წარსულს ისინი ტყეში დარბოდნენ, ყველაზე ცოტა — სასაცილო, ყველაზე ბევრი კი სირცხვილია.

რა თქმა უნდა, იდეალურ მსოფლიოში და იდეალური კაცობრიობის პირობებში საყოველთაო კონტრასტს არა ერების მრავალფეროვნება, არამედ მხოლოდ ადამიანთა მრავალფეროვნება განაპირობებდა, კარგსა და ცუდს, ლამაზსა და უშნოს, კეთილსა და ბოროტს შორის არსებული კონტრასტი განაპირობებდა... იმედია, შორეულ მომავალშიც ასე იქნება.

დღეს კი ვიმედოვნებ, რომ ქართველი ერი იმ ზღაპრულ, სიბრძნით სავსე მოხუცს დაემსგავსება, ვისი გონებაც უწყვეტი დულილის პროცესშია და ვისი გულახდილობაც, პრაგმატიზმთან ერთად, ნამდვილ ჰუმანიზმს და რეალურ წინსვლას განაპირობებს და განაგრძობს... ვიმედოვნებ, ქართველი ერი არ დაემსგავსება იმ ანჩხლ და გაუნონასნორებულ ბებერს, რომლისთვისაც სულერთია რა არის კარგი და რა არის ცუდი.

METRONOMEGE

ფასიანი ქალაქების გაზარი

ლაზარაპი იმის თაობაზე, რომ საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ბაზარი მხოლოდ კომერციული ბანკებისთვისაა ხელმისაწვდომი, ხოლო ყველა დანარჩენი იურიდიული და, მით უმეტეს, ფიზიკური პირი მას სრულად არის ჩამოცილებული, წლების მანძილზე იყო, თუმცა ამას არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

არადა, იმ პირობებში, როცა ქვეყანაში დოლარიზაციის ხარისხი ძალიან მაღალია, გრუნაკლებად მნიშვნელოვანი ტრანზაქცია, ანუ ფინანსური ოპერაცია, არა ლარით (როგორც ამას წლების წინათ მიღებული კანონი მოითხოვს, რომლის თანახმად საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადახდის ერთადერთი ოფიციალური ვალუტა ლარია), არამედ უცხოური ვალუტით, უმეტესწილად დოლარით და უფრო ნაკლებად, ევროთი ხორციელდება.

არადა, ფასიანი ქალაქებში თავისუფალი ფულადი სახსრების განთავსება დიდი სიკეთის მომგებიანია, ვინაიდან ოფიციალურად დადგენილი საპროცენტო სარგებლის თუ დაბანდებული თანხის დაბრუნება მის მფლობელს გარანტირებულად უპრობლემოდ შეუძლია. მეტიც: ეს სახელმწიფოსთვისაც მომგებელია, რადგან ამ გზით კერძო თუ იურიდიულ პირებთან დაგროვილი ფულადი მასა საბანკო ანგარიშებზე თუ „მუთაქვში“ მკვდარ ტვირთად კი არ წევს, არამედ „მუშაობს“ და ქვეყნის-

გაღებული „ფინანსური სარკმელი“

თვის აუცილებელი პროექტების განხორციელებას ხმარდება.

ჰოდა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბოლო დრომდე სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ბაზარზე წვდომა და, შესაბამისად, ხეირის ნახვა რატომღაც მხოლოდ კომერციულ ბანკებს ჰქონდათ, ახლა კი ეს „ფინანსური სარკმელი“ ყველა მსურველისთვის გაიხსნა.

ამის შესახებ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ცოტა ხნის წინათ ოფიციალურად განაცხადა და სახელმწიფო ფასიანი ქალაქების შექმნის პირობები და წესები განმარტა:

„სახელმწიფო ფასიანი ქალაქი, ისევე, როგორც ნებისმიერი ფინანსური ინსტრუმენტი, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შეუძლია შეიძინოს კომერციული ბანკის მეშვეობით პირველად ან მეორედ ბაზარზე. ამისათვის მან უნდა მიმართოს იმ კომერციულ ბანკს, რომელიც ყველაზე უკეთეს პირობებს სთავაზობს და მხოლოდ ამის შემდეგ გაიხსნება ფასიანი ქალაქების ანგარიში“, — აღნიშნულია ეროვნული ბანკის განმარტების შესავალ ნაწილში.

როგორც უკვე ითქვა, პირველადს აუქციონებში მონაწილე-

ობის მიღება ყველას შეუძლია, რისთვისაც დაინტერესებულმა იურიდიულმა თუ ფიზიკურმა პირმა კომერციულ ბანკს ან საბანკო კომპანიას უნდა მიმართოს, რომელიც კლიენტის სახელით შესაბამის განაცხადს წარადგენს. მისი დაკმაყოფილების შემთხვევაში კი ფასიანი ქა-

ლადი პირდაპირ ჩაირიცხება კლიენტის პირად ანგარიშზე. ამა თუ იმ კონკრეტულ პირს სულ მცირე 1000 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე ერთი ფასიანი ქალაქის შექმნის უფლება აქვს. საამისოდ კლიენტმა საგანგებოდ წერილი ინვესტორებისთვის განუთვნილი არაკონკურენტული განაცხადი უნდა წარადგინოს, რის შემდგომ სახელმწიფო ფასიანი ქალაქის აუქციონზე საშუალო შენონილი ფასად შეიქმნება.

აუქციონებლად აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო ფასიანი ქალაქების შექმნისას დაკავშირებით სეზონის განმარტებით ბართში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ კომერციული ბანკები თუ საბანკო კომპანიები ვალდებული არიან, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა გა-

ონებზე არაკონკურენტული განაცხადები პირველ რიგში კმაყოფილდნენ, რაც, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ სხვებთან შედარებით მათ უპირატესობა აქვთ: მათთვის მთლიანი ოდენობის 25 პროცენტია „დაბეჭებული“, რაც წერილ ინვესტორთა ინტერესთა დაცვას უზრუნველყოფს.

ხოლო თუ კონკრეტულ კლიენტს აუქციონში მონაწილეობა კონკურენტული განაცხადით სურს, მაშინ საინვესტიციო თანხის მინიმალური ოდენობა 50 ათასი ლარია, რადგან ამ ტიპის განაცხადები მსხვილი ბაზრის კონიუნქტურაში უკვე გათვითცნობიერებულ ინვესტორებზეა გათვლილი, რომლებსაც თავად შეუძლიათ ფასიანი ქალაქში გადასახდელი თანხის ოდენობაში განსაზღვრა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაში განაცხადის დაუკმაყოფილებლობის ალბათობა გაცილებით მაღალია.

სახელმწიფო ფასიანი ქალაქების შექმნასთან დაკავშირებით სეზონის განმარტებით ბართში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ კომერციული ბანკები თუ საბანკო კომპანიები ვალდებული არიან, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირთა გა-

ნაცხადები სათანადოდ დაამუშაონ და ტექნიკურად ისე დაიცვან, რომ შესაბამისი ინფორმაცია ბოროტად არ იქნას გამოყენებული.

ასევე განხილულია მეორად ბაზარზე აქტივობისა და სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ლიკვიდობის საკითხები. მითითებულია აქტივობის პარამეტრები, ხაზგასმულადაა აღნიშნული, რომ „ეროვნული ბანკი შეუზღუდავად იღებს სახელმწიფო ფასიანი ქალაქების გიროდ მონეტარულ ოპერაციებში კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდობის მიწოდებისას“, — ეს კი, ჩვეულებრივად რომ ვთქვათ, იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შემთხვევაში სახელმწიფო ფასიანი ქალაქის ნაღდ ფულად ქცევა მფლობელს, ფაქტობრივად, ნებისმიერ დროს შეუძლია.

მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ შეიძლება ფასიანი ქალაქის კომერციულ ბანკში დაგირავება და მოკლევადიანი კრედიტის აღება, თანაც ეროვნული ბანკის საპროცენტო განაკვეთთან მაქსიმალურად მიახლოებულ პროცენტად.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო ფასიანი ქალაქების ლიკვიდობის გამოყენება, ანუ „ცოცხალ ფულად“ გადაქცევა მფლობელისთვის არანაირ სირთულეს არ წარმოადგენს, რაც მეტად მნიშვნელოვანია ფორსმაჟორული ვითარების წარმოშობის შემთხვევაში.

ოთარ ტურაბელიძე



# სოსო სინსაძე: საქართველო ან პირდაპირ, უბრალოდ უნდა მიიღოს ნატოში, ან უნდა თქვან, რომ პერ გვლავლობენ!

თავი აუტორიზაცია და ა.შ. ახლა უკვე ღია ვაჭრობა მიდის პოლიტიკაში.

– საქართველო საინტერესოა ერთი ფაქტი – რუსეთმა საკუთარი ჯარის მზადყოფნის შემოწმების ფარგლებში საკუთარი ხომალდები გაიყვანა კასპიისა და შავ ზღვაში, ცხინვალის სამხედრო ბაზა სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა და ა.შ. ეს ნიშნავს თუ არა, რომ შესაძლებელია რუსეთი შეეცადოს საქართველოს მორიგ პრევიკაციაზე წამოგებას? შეიძლება ტერაქტებით ან მსგავსი ქმედებებით არჩევნებზე გავლენის მოხდენას შეეცადოს?

– რუსეთი ნელ-ნელა, პენ-პენ კენით შეახსენებს თავს ქართველ საზოგადოებას და ხელისუფლებასაც, რომ დროულად მიიღოს ქართულმა მხარემ რაღაც გადაწყვეტილება. რუსები ხშირად ამბობენ, რომ ჩვენ ისე ვექვევით რუსეთს, როგორც ნატო ექვევია საქართველოს – ანუ დაპირებების რეჟიმში ვართ.

გაიხსენეთ, რაც მოხდა ორი-სამი დღის წინ – გგონიათ რუსეთს ქერის მოსავალი გაუჭირდა და ჩვენი ყანებიდან ამიტომ წაიღო მარცვლეული? ეს იყო მესიჯი, რომელიც აგრესიად ვერ ჩაითვლება. მაგრამ საინტერესოა ის არის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამაც „სოლო-მონის გადანაცვლებას“ მიიღო – ის კი არ თქვა, ეს აღარ განმეორდება – ზარალს ჩვენ აგინაზღაურებთ.

– ყველა პროგნოზით, „ქართული ოცნება“ გაიმარჯვებს, რომელსაც თავისი საგარეო ვექტორი დეკლარირებული აქვს. ასეთ შემთხვევაში საგარეო ვექტორის ცვლილებაზე როგორ უნდა ვისაუბროთ?

– ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზე, როგორი ძალთა თანაფარდობა ჩამოყალიბდება ახალ პარლამენტში. ექნება „ქართული ოცნებას“ კონსტიტუციური უმრავლესობა თუ არა. კითხვებს ბადებს ისიც, რატომ ხდება პარლამენტი მიმზიდველი მომღერლებისთვის, კომპოზიტორების ან გაურკვეველი პროფესიის ადამიანებისთვის, რა უნდა შემოგვთავაზონ მათ? რისთვის არიან საჭირო პარლამენტში?!

ასევე ბევრი რამ არის დამოკიდებული გარე მოთამაშეების აქტიურობაზე – მოიცლის საქართველოსთვის ევროპა? რითი დამთავრდება ევროპაში ისლამიზაციის რენესანსი? როგორი იქნება აშშ-ის არჩევნების შედეგები – ამერიკელი ჟინინგისკი, ტრამპი მოვა ხელისუფლებაში თუ შედარებით ზომიერი ჰილარი კლინტონი?

არ ვიცით, რა მოხდება, როგორ გადალაგდება სიტუაცია, როგორ აიჭრება კარტები – ისიც კი არ არის გამორიცხებული, საკითხი ისე დადგეს, როგორც ორი-სამი საუკუნის წინათ და ერთმორწმუნეობის საკითხმა წამოინიშნოს, ოღონდ სუვერენიტეტის სრული შენარჩუნებით. ძალზე საშიში პროცესებია მიდის მსოფლიოში, თითქმის ნატოშიც ხსნა, მაგრამ ნატო არ გვლავლობს – რუსეთის აზრს ითვალისწინებს; მაგრამ ერთ დღეს თუ რუსეთისგან საფრთხე აღარ იქნება, საინტერესოა, მაშინ ნატო რაღაში დაგვჭირდება?!

ესაუბრა  
ლალი ზირაძე

ბოლო დროს ხშირად საუბრობენ რეგიონში ახალ სავარაუდო გეოპოლიტიკურ გადანაწილებაზე. რუსეთს, თურქეთსა და ირანს საერთო ინტერესები გაუჩნდათ. თუმცა ექსპერტი სოსო სინსაძე მიიჩნევს, რომ ვერანაირი გეოპოლიტიკური გადათამაშება ვერ მოხდება, ვინაიდან კავკასიასთან მიმართებაში რუსულ-თურქული თანამშრომლობა სიტუაციურ ხასიათს არ ატარებს, მისივე შეფასებით – „მეც ვიქნები და შენც იყავის“ პრინციპი პრაქტიკულად, გამორიცხებულია.

– ამ შემთხვევაში მხარეთა გეოსტრატეგიული პოზიციები, ფაქტობრივად, შეუთავსებელია. ერდოლანი აღარ მალავს თავის პან-თურქისტულ პრეტენზიებს; ხოლო რუსეთი, ყველაზე დიდი, რასაც შეიძლება დათანხმდეს, ეს კავკასიის ნეიტრალიზაციაა. ის ვერ დაუშვებს, რომ მისი ადგილი კავკასიაში სხვამ დაიკავოს – სწორედ ამიტომ მიმზიდველი უბლოკო სისტემა, რაც გულისხმობს, რომ არც ერთი დიდი სახელმწიფოს სამხედრო ინტერესი არ უნდა დომინირებდეს ამ რეგიონში.

რაც შეეხება ირან-რუსეთის ურთიერთობებს, ეს სიტუაციურ ხასიათს ატარებს – ირანი თანდათანობით გამოდის სანქციების რეჟიმებიდან და საბოლოო ჯამში რუსეთი და ირანი ვერასოდეს ვერ იქნებიან სტრატეგიული მოკავშირეები, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ორივეს ერთი და იგივე ნედლეული – ნავთობი აქვს გასაყიდი. ახალი ტექნოლოგიებით კი ვერც ირანი დაიკვებინს და ვერც რუსეთი.

ამიტომ, როდესაც თანდათანობით იკუმშება მსოფლიოს ენერგეტიკული ბაზარი, გამოემდინარეოთ ოპეკის მოქმედებებიდან, ამერიკის ახალი სტრატეგიიდან – ის უკვე ნავთობის ექსპორტს იწყებს – ასეთ ვითარებაში რუსეთი და ირანი ბუნებრივი კონკურენტები იქნებიან.

რაც შეეხება დღევანდელ სიტუაციას, ამ მომენტში საერთო ინტერესი არსებობს – ირანმა რუსეთს სამხედრო აეროდრომის გამოყენების უფლება მისცა, მაგრამ იმიტომ, რომ ირანი შიიტურია, ისლამური სახელმწიფო კი – სუნიტური. როგორც კი ისლამური სახელმწიფოს პრობლემა გადაწყდება, ალბათ ე.წ. სტრატეგიული თანამშრომლობაც დასრულდება.

ჩვენგან განსხვავებით ირანელებს კარგი მესხიერება აქვთ – დაახლოებით ნახევარი საუკუნეა გასული იმ დროიდან, როდესაც რუსეთი ცდილობდა, ტერიტორია ჩამოეჭრა ირანისთვის და აზერბაიჯანისთვის მიეცათ თავის 18-მილიონიანი მოსახლეობით.

ამდენად, ეს სამკუთხედი – თურქეთი-ირანი-რუსეთი – დროებითია. რაც შეეხება შორსმომავალ გეგმებს, ამისთვის ორგანული საფუძველი არ არსებობს. რუსეთისა და თურქეთის, რუსეთისა და ირანის ინტერესები ყოველთვის გადაიკვეთება რომელიმე რეგიონში და სიტუაცია დათბება. მაგალითად, ერდოლანის პეტერბურგში ჩასვლა განაპირობა ევროპასთან თურქეთის ურთიერთობის გამწვავებამ.

– სხვათა შორის, ამერიკაზეც განაწილებულია თურქეთი, გიულენის გადაცემის ითხოვს...

– ეს გამორიცხებულია! არსებობს ამერიკელი ექსპერტების დასკვნა, რომ მას უკუჩვენებელი სენი ჭირს და 80 წელს მიღწეულ ბიოკავს აშშ თურქეთს არ გადასცემს სიკვდილით დასასჯელად.

რაც შეეხება რუსეთს, პუტინი დღეს თეთრ ცხენზე ამხედრებული რადგან ის სჭირდება თურქეთს, ირანს, ევროპას და ამერიკას ისლამურ სახელმწიფოსთან საბრძოლველად.

– რამდენიმე დღის წინათ თურქეთი შეიჭრა სირიაში... ესეც თურქულ-რუსული მოლაპარაკებების შედეგი შეიძლება იყოს?

– თურქეთს რუსეთის დახმარება არ ჭირდება – მას აწყობს რუსეთის ნეიტრალიზაცია. თურქეთის თავის ტკივილი ქურთული მოსახლეობაა. 15 მილიონზე მეტი ქურთი ცხოვრობს თურქეთში, თა-

– მომავალი თვის დასაწყისში ჩამოდის ნატოს გენერალური მდივანი. როგორ ფიქრობთ, ამ გაქანებული შევულების პერიოდში რა უნდა საქართველოში? ჩამოდის იმიტომ, რომ ნახეს – საქართველო, რომელსაც საკენი კვებავდა წლების განმავლობაში ბრიუსელი, ამ საკენს აღარ კენავს და ითხოვს უფრო სერიოზულ მიდგომას.

– საქართველო ან პირდაპირ, უბრალოდ უნდა მიიღოს ნატოში, ან უნდა თქვან, რომ ვერ გვლავლობენ – დღეს ასეთი რეალობაა. შესაძლოა, ნატოს გენერალურ მდივანსაც ჰქონდეს კითხვები



ნაც, მეომარი ხალხი. გგონიათ „ისლამური სახელმწიფოს“ წინააღმდეგ სირიელები ომობენ? – ძირითადად ქურთები ომობენ. როგორც ჩანს, პეტერბურგში მოხდა რაღაც შეთანხმება, საზღვრისპირა ტერიტორიებთან დაკავშირებით.

– თუმცა საზღვრისპირა რეგიონებში ტერაქტები უკვე პერმანენტულ ხასიათს იღებს...

– რაც მეტ სადამსჯელო ოპერაციას ჩაატარებს ერდოლანი თურქეთის საზღვრებს გარეთ, მით უფრო გააქტიურდება ქურთების მოქმედება. ეს ისეთი პრობლემაა, რომლის გადაჭრის პერსპექტივაც ძალზე ბუნდოვანია. ხომ არ შეიძლება 15 მილიონი ადამიანი უსამშობლოდ იყოს? თუმცა ისრაელი უფრო შეეგუება პალესტინის დამოუკიდებლობას, ვიდრე თურქეთი ქურთების ავტონომიას.

საქართველოს მთავრობასა და ოპოზიციასთან, ვინაიდან ასეთი აჭრილი წინასაარჩევნო ვითარება საქართველოში არასდროს ყოფილა.

აქამდე იყო ერთი მონსტრი – მმართველი პარტია, რომლის გამარჯვებაც შიქ ექვი არავის ეპარებოდა; ჰყავდა სატელიტი პარტია, რომლებსაც იგივე მმართველი პარტია აფინანსებდა, რათა გამოჩენილიყო, რომ მრავალპარტიული სისტემა არსებობდა.

დღეს უკვე რეალურად მრავალპარტიული სისტემაა თანამედროვე სტანდარტებით – მოსყიდვებით, გადაბირებებით – კლასიკური მაგალითებიც სახეზე გვაქვს; 10-20 წლის შემდეგ ძალიან საინტერესო შეფასებას მიიღება მაგალითად „გირჩი“ – როგორ გაიყიდნენ, რამდენად, როგორ გაიტანეს საკუთარი

## აფხაზეთში რუსმა სასულიერო პირებმა კონფერენციად აფხაზი არქიმანდრიტი ღოროფი გააქვეყნეს

ოკუპირებული სოხუმის „მოსკოვის სახლი“ 2 რელიგიური ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებად ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო კულტურის სამინისტრომ აფხაზი არქიმანდრიტი ღოროფი მიიწვია. თუმცა რუსეთის დეგვალაციამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა, თუ მას ღოროფეც დაესწრებოდა. ღონისძიება მას შემდეგ გაგრძელდა, რაც დარბაზი არქიმანდრიტმა დატოვა.

ოკუპირებული აფხაზეთის „პარლამენტის“ ყოფილი წევრის დავიდ ფილიას განცხადებით, ასე არ უნდა იქცეოდნენ, მით უმეტეს კავკასიაში, აფხაზს არ უნდა მოექცე ასე.

მისი თქმით, ღოროფეც ღონისძიებაზე ოფიციალურად იყო მიწვეული. ღონისძიების დაწყებამდე მას რამდენჯერმე დაურეკა პირადად კულტურის მინისტრის მოადგილემ და სთხოვა, მისულიყო კონფერენციაზე. თუმცა, დარბაზში მისვლისთანავე, მამა ღოროფეცის სთხოვეს, კონფერენცია დაეტოვებინა.

ღოროფეცის კითხვაზე: რატომ უნდა წავიდეს? მას უპასუხეს, რომ რუსული მხარე ითხოვს ამას. ღოროფეცმ წასვლამდე დარბაზში მყოფებს მიმართა: „ჩვენო მმართველებო, აფხაზეთის გამო არ გრცხვენიათ? აფხაზეთში ვატარებთ

ღონისძიებას და მოსკოველი სასულიერო პირი აყენებს საკითხს ჩემი წასვლის შესახებ? არ გრცხვენიათ? თქვენ არ ხართ აფხაზეთის პატრონი?“. ამის შემდეგ მან დარბაზი დატოვა.

„ეს ამაზრზენი ფაქტია. რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირი აფხაზეთის ტერიტორიაზე შედის. მას ეკლესიური კანონის მიხედვით საქართველოს საპატრიარქოს ნებართვის გარეშე ამის უფლება არა აქვს. გამოდის, რომ მან ამის კურთხევა მიიღო. ასე უნდა გვესმოდეს. შემოდიხარ სხვის კანონიკურ ტერიტორიაზე და საკუთარი წესების დამყარებას ცდილობ? რა არის ეს? ბოლოსდაბოლოს შენ სტუმარი ხარ, დღოროფეც კი – აფხაზეთის მოქალაქეა. პრეტენზია არა რუსეთის სასულიერო პირის მიმართ მაქვს, არამედ ჩვენი ხელისუფლების მიმართ. როგორ მოიქცა ჩვენი მთავრობა? როგორ დაუშვეს ასეთი რამ? ყველას შეურაცხყოფა მოგვყენეს!“, – განაცხადა ფილიამ აფხაზურ მედიასთან საუბარში.

მისი თქმით, ამ საკითხში ის ორ ძალას ხედავს. ერთი მხრივ – ახალგაზრდა ბერებს, რომლებიც ათონის მიტროპოლიას წარმოადგენენ და სურთ ახალი ათონისგან ნამდვილი ქრისტიანული სასულიერო ცენტრი გააკეთონ. მეორე ძალას კი უნდა ათონი კომერციულ ობიექტად აქციოს, ფულის გათეთრება უნდათ. მათ სურთ ახალი ათონში მომლოცველების ცენტრი გაიხსნას, რომ მეტი ფული გააკეთონ.

### ამერიკის საზღვარო ქვეითები საქართველოსკენ მოემართებიან

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოში ამერიკის საელჩო ავრცელებს.




როგორც საელჩოს Facebook გვერდზეა ნათქვამი, ქვეითები მონაწილეობას ყოველწლიურ წვრთნებში „მებრძოლი სული – 2016“ მიიღებენ, რომლის მიზანიც მონაწილე ქვეითებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესება და რეგიონული უსაფრთხოების გაძლიერებაა.

### ბათუმის „ჭაობის დასახლებაში“ აქტიური სრუბრილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო. პუშკინის ქუჩის რეაბილიტაცია აქტიურად გრძელდება. ამ ეტაპზე სამუშაოები ჯავახიშვილის ქუჩიდან გმირთა ხეივანამდე მონაკვეთზე სორცვილდება.

აღნიშნულ მონაკვეთზე კეთდება 360 მ სანიადრე სისტემა, 21 ცხაურიანი და 10 დახურული ჭა, ასევე დამონტაჟდება 6 საკომუნიკაციო ჭა, რისი დასრულების შემდეგაც დაიგება 4800 კვმ ასფალტის საფარი. პროექტის ფარგლებში ტროტუარებზე მოეწყობა ბილიკები უსინათლოთათვის, ბორდიურები და ველობილიკები.



19 მილიონი ლარის ღირებულების პროექტი ე.წ. „ჭაობის“ დასახლების ქუჩების რეაბილიტაციის მოიცავს, რაც 25 ქუჩის კეთილმოწყობას ითვალისწინებს. ამ მომენტისთვის ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები 8 ლოკაციაზე მიმდინარეობს.

## შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მესამე პროექტი (SLRP III)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სააგენტოშილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**  
პროექტის ნომერი: **P148048**

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: **SLRP III/CS/QCBS-05**

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მესამე პროექტის ფარგლებში ახმეტა-თელავი-ბაკურციხის შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთებზე ბაკურციხე-გურჯაანის ახალი შემოვლითი გზის სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა (პროექტირება-მშენებლობის კონტრაქტის მეთოდოლოგიის გამოყენებით) კონტრაქტი/RFP №: SLRP III/CS/QCBS-05

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 30 თვე და 12 თვე დეფექტების აღმოფხვრის პერიოდი  
შერჩევის მეთოდი: ხარისხზე და ფასზე დაფუძნებული შერჩევა  
შეფასების ვალუტა: ლარი

შეფასებული კომპანია(ები):

დასახელება Dongshin Engineering & Consultant Co. Ltd სამხრეთ კორეა ქვე-კონსულტანტი Metekhi Engineering Group Ltd / საქართველო  
ტექნიკური ქულა: 70,12  
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 2,625,465.50 აშშ დოლარი

ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 2,625,465.50 აშშ დოლარი  
ერთიანი შეფასების ქულა: 66,63  
საბოლოო ადგილი: V  
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო მოთხოვნებთან (RFP) ITC 16.4 შეუსაბამობა;

დასახელება: SAI CONSULTING ENGINEERS PVT. Ltd ინდოეთი  
ტექნიკური ქულა: 73.31  
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,381,700 აშშ დოლარი  
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,381,700 აშშ დოლარი  
ერთიანი შეფასების ქულა: 77.74  
საბოლოო ადგილი: I  
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო მოთხოვნებთან (RFP) ITC 16.4 შეუსაბამობა;

დასახელება: IRD ENGINEERING S.R.L./ იტალია  
ტექნიკური ქულა: 73,59  
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,877,100

აშშ დოლარი  
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,877,100 აშშ დოლარი;  
ერთიანი შეფასების ქულა: 73,59  
საბოლოო ადგილი: III  
დისკვალიფიკაციის მიზეზი: სატენდერო მოთხოვნებთან (RFP) ITC 16.4 შეუსაბამობა;

დასახელება: Dohwa Engineering Co.Ltd სამხრეთ კორეა ქვე-კონსულტანტი Gzamshenproject LTD./საქართველო  
ტექნიკური ქულა: 72.25  
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,934,486 აშშ დოლარი და 1,460,400 ლარი  
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,934,486 აშშ დოლარი და 1,460,400 ლარი  
ერთიანი შეფასების ქულა: 68.58  
საბოლოო ადგილი: IV

დასახელება: Eptisa Servicios de Ingenieria S.L ესპანეთი  
ტექნიკური ქულა: 72.47  
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,014,400 აშშ დოლარი და 1,087,549.19 ლარი  
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,014,400 აშშ დოლარი და 1,087,549.19 ლარი  
ერთიანი შეფასების ქულა: 76.61  
საბოლოო ადგილი: II

გამარჯვებული კომპანია(ები):  
დასახელება: Eptisa Servicios de Ingenieria S.L ესპანეთი  
ტექნიკური ქულა: 72.47  
ფინანსური წინადადების ამოკითხული ფასი: 1,014,400 აშშ დოლარი და 1,087,549.19 ლარი  
ფინანსური წინადადების შეფასებული ფასი: 1,014,400 აშშ დოლარი და 1,087,549.19 ლარი  
ერთიანი შეფასების ქულა: 76.61  
საბოლოო ადგილი: II  
საკონტრაქტო ღირებულება: 1,196,992 აშშ დოლარი და 1,283,308.04 ლარი გადასახადების ჩათვლით.

# Contract Award Notification

Project Name: **Third Secondary and Local Roads Project (SLRP III)**

The project implementing Agency: **Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia**

Country: **Georgia**

Project Number: **P148048**

Bid/Contract Reference No: **SLRP III/CS/QCBS-05**

Scope of Contract: Supervision of Construction (Under Design-and-Build Contracting Methodology) of New Gurjaani-Bakurtsikhe Bypass section of Akhmeta-Telavi-Bakurtsikhe Secondary Road under the Third Secondary and Local Roads Project (SLRP III)

Duration of Contract: 30 months and 12 months DLP  
Method of Selection: Quality and Cost-Based Selection (QCBS)

Evaluation Currency: Georgian Lari

Evaluated Consultant(s)/Firm:  
Name: Dongshin Engineering & Consultant Co. Ltd in sub-consultancy with Metekhi Engineering Group Ltd., Korea/Georgia

Technical Score: 70,12  
Financial Proposal Price at the opening: USD 2,625,465.50  
Evaluated Price: USD 2,625,465.50  
Final Combined Evaluation Score: 66.63

Final Ranking: V  
Reason (s) for Rejection: Rejected because of noncompliance with ITC 16.4 requirement of Request for Proposals;

Name: SAI CONSULTING ENGINEERS PVT. Ltd, India  
Technical Score: 72.17  
Financial Proposal Price at the opening: USD 1,381,700  
Evaluated Price: USD 1,381,700  
Final Combined Evaluation Score: 77.74  
Final Ranking: I

Reason (s) for Rejection: Rejected because of noncompliance with ITC 16.4 requirement of Request for Proposals;

Name: IRD ENGINEERING S.R.L./Italy  
Technical Score: 73.59  
Financial Proposal Price at the opening: USD 1,877,100

Evaluated Price: USD 1,877,100  
Final Combined Evaluation Score: 73.59  
Final Ranking: III  
Reason (s) for Rejection: Rejected because of noncompliance with ITC 16.4 requirement of Request for Proposals;

Name: Dohwa Engineering Co.Ltd in sub-consultancy with Gzamshenproject LTD, Korea/Georgia  
Technical Score: 72.25  
Financial Proposal Price at the opening: USD 1,934,486 and GEL 1,460,400  
Evaluated Price: USD 1,934,486 and GEL 1,460,400  
Final Combined Evaluation Score: 68.58  
Final Ranking: IV

Name: Eptisa Servicios de Ingenieria S.L./ Spain  
Technical Score: 72.47  
Financial Proposal Price at the opening: USD 1,014,400 and GEL 1,087,549.19  
Evaluated Price: USD 1,014,400 and GEL 1,087,549.19  
Final Combined Evaluation Score: 76.61  
Final Ranking: II

Awarded Consultant(s)/Firm:  
Name: Eptisa Servicios de Ingenieria S.L./ Spain  
Technical Score: 72.47  
Financial Proposal Price at the opening: USD 1,014,400 and GEL 1,087,549.19  
Evaluated Price: USD 1,014,400 and GEL 1,087,549.19  
Final Combined Evaluation Score: 76.61  
Final Ranking: II  
Contract Price: USD 1,196,992 and GEL 1,283,308.04 inclusive of local indirect taxes.

დღეს ვინცაბთ...

ალბანელები თბილისს ამერიკელი გამთამაშებლებით ენთუზიან

ალბანეთის საკალათბურთო ნაკრებს, რომელიც 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლში საქართველოს ერთ-ერთი მეტოქეა, მომავალ მატჩებში დახმარებას 32 წლის ამერიკელი გამთამაშებელი რეზონ ბროდუსი (სიმაღლე 183 სმ) გაუწევს.

ოკეანისგაღმედი კალათბურთელისთვის ალბანეთის მოქალაქეობის მინიჭების შესახებ ბრძანებულება ქვეყნის პრეზიდენტმა ბუჯარ ნიშანიმ გამოსცა, უშუალოდ პასპორტი კი ბროდუსს ალბანეთის კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელმა აენი პონარიმ ჩააბარა.



ვიტალი ჯაფარიძე

გიტოქა

შერეაღინი, ფაჩულია, დიქსონი...

სლოვაკთა თავაპსი ქართვალთა წინა და უკანა ხაზს თანაბრად უფრთხის

სლოვაკეთის საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ივან რუდეშმა 2017 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის შესახებ ისაუბრა. შეგახსენებთ, რომ F ჯგუფში სლოვაკეთის გარდა ალბანეთი და უმთავრესი ფავორიტები - საქართველო და ჩერნოგორიაც ითამაშებენ.

ივანი ხორვატეთის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერის დამიან რუდეშის უფროსი ძმაა და უნევის „ლაიონთან“ ერთად შვეიცარიის ჩემპიონატი 2-ჯერ აქვს მოგებული, ახლა კი ბედს სანაკრებო ასპარეზზე ცდის.

მოსამზადებელი ციკლის ბოლოს სლოვაკებმა ავსტრიას 86:83 სძლიეს, მანამდე დანიას და შვეიცარიასაც აჯობეს, ერთადერთი მარცხი კი უკრაინასთან შეემთხვათ. მიუხედავად ამისა, რუდეშს ილუზიები არ აწუხებს და გამოკვეთილ ფავორიტებსაც ასახელებს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები ბოლო 3 ევროპასკეტის მონაწილეა, ჩერნოგორიელებმა 2011 და 2013 წლების ევროპის ჩემპიონატებზე ითამაშეს, ევროპასკეტ-2015-ის მიღმა მათი დარჩენა კი იმთავითვე სენსაციად მოინათლა.

„საქართველოს და ჩერნოგორიას დაბალანსებული შემადგენლობა და დომინანტური ცენტრები ჰყავთ. ჩერნოგორიას ნიკოლა ვუჩევიჩი ლიდერობს, რომელსაც ნბა-ში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს და „ორლანდო მეჯიქში“ ჩინებული სეზონი ჰქონდა. გამოვარჩევ ბოიან დუბლევიჩსაც, რომელიც ესპანური „ვალენსიას“ ერთ-ერთი ლიდერია.

საქართველოს ნაკრებში სტაბილურად თამაშობს გიორგი შერმადინი, რომელსაც ევროპის არაერთი წამყვანი კლუბის ლირსება დაუცავს. და, რა თქმა უნდა, ზაზა ფაჩულია. არაერთი წელია, იგი ნბა-ში დამაჯერებლად ასპარეზობს.

ცხადია, ამ ფონზე დაცვაში თამაშზე, სამწამიანი ზონის გამაგრებასა და მოხსნებზე განსაკუთრებული ყურადღე-

ჰავაის კუნძულებზე დაბადებულმა ბროდუსმა ევროპული კარიერა 2008 წელს დაიწყო და მას შემდეგ არაერთი კლუბი გამოიცვალა. რეზონი „ბრაშოვის“ (რუმინეთი), „სუდუვას“ (ლიტვა), „პოლიტექნიკა-პალიჩინას“ (უკრაინა), „შიაულიაის“ (ლიტვა), „ნეპტუნასის“ (ლიტვა), „იუვენტუსის“ (ლიტვა) და „დაბროვა გურნიჩას“ (პოლონეთი) ღირსებას იცავდა.

გასულ სეზონში ბროდუსმა პოლონეთის ჩემპიონატში 31 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 16.03 ქულას, 3.48 მოხსნას, 4.06 პასს და 1.03 ჩაჭრას აგროვებდა. ახლა ის თავისუფალი აგენტის სტატუსს ატარებს.

შეგახსენებთ, რომ ევროპასკეტ-2017-ის საკვალიფიკაციო ციკლში ალბანეთის მეტოქეები საქართველო, ჩერნოგორია და სლოვაკეთი არიან. კვიპროსელი სპეციალისტის ანტონის კონსტანდიტესის მიერ დარიგებული ალბანელებში პირველ მატჩს დღეს სწორედ თბილისის სპორტის სასახლეში ჩაატარებენ (დასაწყისი 19 საათზე).

ვიტალი ჯაფარიძე

ფეხბურთი

სრაკორღო შოტლანდიური ტრანსფერი

ინგლისის ჩემპიონშიპის ბინადარ „ნოტიუნგემ ფორესტიდან“ გერმანიის ბუნდესლიგის ახალწვეულმა ლაიპციგის „რედ ბულმა“ 19 წლის შოტლანდიელი ნახევარმცველი ოლივერ ბურკი გაიფორმა. აღნიშნულ ტრანსფერში გამოსარჩევი არაფერი იქნებოდა, რომ არა ერთი მთავარი დეტალი - სატრანსფერო ფასი.



იგი შოტლანდიის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია - 19 წლის ბურკის სანაცვლო რაღფ რანგნიკის გუნდმა 15 მილიონ ევროზე ოდნავ მეტი გაიღო, რასაც მომავალში კიდევ 2 მილიონი დაემატება ბონუსის სახით. ბურკმა გერმანულ გუნდს ბედი 5 წლით დაუკავშირა.

ოლივერ ბურკს მიმდინარე სეზონში ჩინებული სტარტი ჰქონდა - ჩემპიონშიპის 5 მატჩში 4 გოლის გატანა მოახერხა, შოტლანდიის ნაკრებში მისი დე-

ბიუტი კი წლეულს მარტში დანიის ნაკრების წინააღმდეგ შედგა. აქამდე შოტლანდიელ ფეხბურთელთაგან ყველაზე დიდი თანხა როს მაკკორმაკის ტრანსფერში გადაუხდიათ, რომელიც თავის დროზე „ფულჰემიდან“ „ასტონ ვილაში“ 14 მილიონად გაიყიდა.

გიორგი შოთაძე

რაგბი

„ისპ გვისმენენ“ ზელანდიურად

ახალი ზელანდიის რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ ნაკრების წევრების ოთახებში მოსასმენი აპარატურის აღმოჩენის საკითხი გამოსაძიებლად პოლიციას გადასცა.

საქმე ეხება 20 აგვისტოს სიდნეიში გამართული მატჩის წინ მომხდარ ფაქტს, როცა იქაურ სასტუმროში მორაგბეთა ოთახებსა და საკონფერენციო დარბაზში მოსასმენი აპარატურა იყო და-



მონტაჟებული. პასუხად „ოლბლექსმა“ მეტოქეს მოედანზე შავი დღე აყარა და 42:8 გაანადგურა, თუმცა, ავსტრალიელები ირწმუნებთან, ამ ამბავთან შესება არ გვაქვსო.

„ყველა არსებული ფაქტი პოლიციას გადავეცი და გვსურს, რომ სამართალდამცავებმა გამოძიება ჩაატარონ. არ გვაქვს რაიმე ბოროტი ჩანაფიქრი,“

უბრალოდ, გვსურს სიმართლე გაიკვეთს. ახლა ვერ გეტყვით ეს აპარატურა კონკრეტულად ჩვენს მოსასმენად იყო დამონტაჟებული თუ ის მანამდე სხვა მიზნით დააყენეს.

სპეკულაციას და მკითხაობას აზრი არა აქვს, მაგრამ ისიც უნდა გავითავისოთ, რომ პრო-

ფესიონალური სპორტი დიდი ბიზნესია და უამრავ ადამიანს სურს გაიგოს რა ხდება რაგბიში მოედანს მიღმა. მსგავსი სიტუაციების თავიდან აცილების მიზნით სამომავლოდ უსაფრთხოების ნორმებს გავაძლიერებთ“ - აცხადებს ახალი ზელანდიის რაგ-

ბის კავშირის ხელმძღვანელი სტივ ტიუ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით პოლიციის ვერდიქტი კვირის ბოლომდე უნდა გახდეს ცნობილი.

ბადრი იაშვილი

ინტერნეტიდან

ჯესიკა - ბელებური სიტკაო

რომორც გენტის ტკბილეულის ქარხანაში შოკოლადი არ გამოილევა და ფლანდრიის მონასტრებში გაუფილტრავი ლუდი, ისევე ბელგიაში არასოდეს დაილევიან ტურფანი, რომლებიც ამ მშვენიერ მინაზე მოსახლეობენ, რადგან ლამაზმანთა დაღევა კაცობრიობის აღსასრულის ტოლფასია და შეიძლება უფრო უარესიც კი!

ამჟამად ეროვნული საფეხბურთო ნაკრების თილისმად სახელდებულ მშვენიერ და ყირმიზა მოდელ ჯესიკა ვან დერ სტეენზე უნდა გიამბოთ, რომელიც ბელგიის დიდი პატრიოტი გახლავთ და შეიძლება სამხრეთამერიკელი ასულებით საყვარელი ნაკრებისთვის ნიფხავი არ შემოიძარცვოს, მაგრამ მხარდაჭერას და კვილს კი არასოდეს დაიზარებს მისთვის.

ჯესიკა რომ წარმატებული და სამშობლოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ქალია, იმითაც დასტურდება, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ იქაურმა სილამაზის მოყვარე საზოგადოებამ ის „მის ბელგიად“ დაასახე-

ლა. ეს ტიტული ფეხბურთის მოყვარულთათვის შესაძლებელია ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მხოლოდ ფეხბურთია ცხოვრება?

როსტომ რაჭველიშვილი



სამაგლოკელი

# გოგი კთილაკე - კთილ საქმეთა მსახური

მეცხედ გვარის წარმოშობას თავისი ისტორია და საფუძველი აქვს. ამ გვარის წარმომადგენლები, ალბათ, მხოლოდ კეთილ საქმეებს აკეთებდნენ. ერთ-ერთი მათგანია გოგი კეთილაძე, ისნის რაიონის გამგებლის მოადგილე, რომელსაც შეჭირვებულ ადამიანთა მზრუნველობა აკისრია ისნის რაიონში.

ბევრი ადამიანი მინახავს მასთან შესული - აფორიაქებული, სასონარკვეთილი, ბატონი გოგისგან გამოსულს კი იმედი და სიმშვიდე დაუფლებია. გოგი ყოველ მათგანს გულდასმით უსმენს, გასაკეთებელს აუცილებლად გააკეთებს. იმდენად განიცდის თითოეული ადამიანის გასაჭირს, რომ დღის ბოლოს მის კეთილშობილ გარეგნობას დაღლა და დარდი ატყვია.

თავმდაბალი, ერთდირებული, განათლებული ყოველი მიმსვლელის სულიერი მეგობარი ხდება.

„თუ კაცს კაცის სიკეთე უნდა, გული ადგილიდან უნდა მისდრას-მოსდრასო“. სწორედ რომ გულით, თავდადებით ემსახურება კეთილ საქმეს გოგი ბატონი.

მრავალ საპასუხისმგებლო საქმეზე უმუშავია მას, ყველგან კვალი ნათელი დაუტოვებია. არის მეცნიერებათა დოქტორი. ჰყავს საუკეთესო მეუღლე და შვილები. იმედი, მათაც ემსახურებათ „ვისი გორისანი არიან“ და კეთილაძეთა გვარს ღირსეულად წარმოაჩინენ. ტყუილად კი არ ამბობენ, „კვიცი გვარზე ხტისო“.

მადლობას ვუხდით ბატონ გოგის იმედისათვის, ნუგეშისათვის, დახმარებისთვის და ვუსურვებ წინსვლას. გოგი კეთილაძე „საქმემან მისმან წარმოაჩინა“.

გიული ჩხიკვაძე

## უზენაესა სასამართლო „რუსთავი-2“-ის საქმის განხილვა ჩანიშნა

„რუსთავი-2“-ის ინფორმაციით, მიიღეს თუ არა წარმომადგენელი უზენაესი სასამართლო რუსთავი-2-ის საკასაციო საჩივარს, 5 სექტემბერს გახდება ცნობილი. საჩივრის დასაშვებობაზე სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე იმსჯელებს.

საქმეს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია განიხილავს, რომლის შემადგენლობაშიც მოსამართლეები - ეკა გასიტაშვილი, ბესარიონ ალავეცი და პაატა ქათამაძე არიან.



## „რივის პარკში“ გარემოვაჭრების მჯდომარე აქცია გაიმართა

„რივის პარკის“ ტერიტორიაზე გარემოვაჭრების მჯდომარე აქცია გაიმართა. აქციის მონაწილეების თქმით, მათ გარევაჭრობა თბილისის მერიამ აუკრძალა და 500-ლარიანი ჯარიმებით ემუქრებინა. აქციის ორგანიზატორის, „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის ლაშა ჩხარტიშვილის განმარტებით, საუბარია სუვენიერებით მოვაჭრე პირებზე. გარემოვაჭრები ვაჭრობის უფლებას ითხოვენ და მჯდომარე აქციების გამართვას სხვადასხვა ტურისტულ ზონაში პერმანენტულად აპირებენ.



„აქციის მონაწილეებს ელემენტარული მოთხოვნა აქვთ, ოფიციალურად გაიცეს ნებართვა გარევაჭრობაზე, მით უმეტეს, სუვენიერებით ვაჭრობაზე საუბარი და დედამიწაზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც ტურისტულ ზონებში სუვენიერებით ვაჭრობის უფლება არ ჰქონდეთ ადამიანებს“, - განაცხადა ლაშა ჩხარტიშვილმა.

## ახლოვანი 50 ლარის გაყოფა!!!

„თელავის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წარსულში ქურდობისთვის რამდენჯერმე ნასამართლევი დიმიტრი მასპინძელაშვილი დამნაშავედ ცნო განზრახ მკვლელობის ჩადენაში სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.“

2015 წლის 3 დეკემბერს, შუადღის საათებში, დიმიტრი მასპინძელაშვილი, მეუღლესთან ი.მ-სთან და გერთან - ნ წლის გ.მ-სთან ერთად, ქ. თელავში მივიდა თავის ნაცნობთან ელენე თუშიშვილთან და 50 ლარი სთხოვა. ელენე თუშიშვილმა იმ მიზეზით, რომ აღნიშნული თანხა არ გააჩნდა, ფულის სესხებაზე დიმიტრი მასპინძელაშვილს უარი განუცხადა, რის გამოც უარის მიღებით განაწყენებულმა დიმიტრი მასპინძელაშვილმა შურისძიების მიზნით ელენე თუშიშვილის მოკვლა განიზრახა.

2015 წლის 3 დეკემბერს, დაახლოებით 22:00 საათზე დიმიტრი მასპინძელაშვილი კვლავ მივიდა ელენე თუშიშვილის სახლში, მისი საძინებელი ოთახიდან აიღო ნაჯახი და განზრახ მოკვლის მიზნით ელენე თუშიშვილს თავის არეში ჩაარტყა, დანაშაულის ჩადენის იარაღი წაიღო და შემთხვევის ადგილი დატოვა. ელენე თუშიშვილი მიღებული

სიცოცხლისათვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანების შედეგად შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა.

ჩადენილი დანაშაულის შენიღბვის მიზნით, დიმიტრი მასპინძელაშვილი მეუღლესთან და გერთან ერთად შემთხვევის ადგილას დაბრუნდა, ელენე თუშიშვილის ტელეფონიდან დარეკა 112-ში და განაცხადა, რომ ელენე თუშიშვილის გვამი მისივე საცხოვრებელ სახლში ნახა და დახმარება ითხოვა.

სამართალდამცველებმა დიმიტრი მასპინძელაშვილი 2015 წლის 4 დეკემბერს ქ. თელავში დააკავეს.

თელავის რაიონულმა სასამართლომ დიმიტრი მასპინძელაშვილი სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 11 წლის ვადით. - ნათქვამია პროკურატურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.



## ურჩეული ტაქსის მძღოლი გარდაცვლილი იპოვეს

ურჩეული ტაქსის მძღოლი გარდაცვლილი იპოვეს. ის ტაქსის მძღოლი იყო. შემთხვევა გუშინ, დილით მოხდა. თვითმკვლელობის მსილველების განცხადებით, მამაკაცს მანქანაში ჩაეძინა, დილით კი გარდაცვლილი იყო. შსს-მ გამოძიება სსკ 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. არსებული ინფორმაციით, გარდაცვლილს დაზიანებები არ აღენიშნება.

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306<sup>6</sup> მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს რაფიკ მუსაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. უძრავი ნივთის შესაკუთრე: რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქალაქი მარნეული, ნიზამის ქ. №14, 2229 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 83.03.02.973);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

2. უძრავი ნივთის შესაკუთრე: რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ქალაქი მარნეული, ნიზამის ქ. №14, 2229 კვ.მ. მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი: 83.03.02.974);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

3. უძრავი ნივთის შესაკუთრე: რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

მარნეულის რაიონი, სოფელი საბირკენდი, 55500 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებულ 116.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობასთან ერთად (საკადასტრო კოდი: 83.03.02.674);

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი უფლებებით.

4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 33564 ლარი. მათ შორის: 4.1 10912 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 83.03.02.973) ფასი შეადგენს 3761.48 ლარს;

4.2 2229 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 83.03.02.974) ფასი შეადგენს 868.03 ლარს;

4.3 55500 კვ.მ. მიწის ნაკვეთისა და მასზე არსებული 116.40 კვ.მ. შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: 83.03.02.674) ფასი შეადგენს 28934.49 ლარს დღე-ის ჩათვლით (დღე შეადგენს 4413.66 ლარს);

4.4. აუქციონის ჩატარების წესი: სარეალიზაციო ნივთები იყიდება ერთ ლოტად;

5. აუქციონის დაწყების დრო: 2016 წლის 12 სექტემბერი, 15:00 საათი;

6. აუქციონის ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

7. მოვალე: ნაზირ ხაჯაევი (პ/ნ 28001024589), მარნეული, ნიზამის ქ. №17;

რაფიკ მუსაევი (პ/ნ 28001011470), მარნეული, ნიზამის ქ. №1;

პბი აბუზაროვი (პ/ნ 28001063407), მარნეული, ნარიმანოვის ქ. №49;

საიფუმ ხაჯაევი (პ/ნ 28001011847), მარნეული, ნარიმანოვის 3 ჩიხი №4.

8. აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი პოლინგი“ (ს/კ 204572284), ოურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;

9. აუქციონის პირობები:

• აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და შესაკუთრეს;

• შესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს შესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და შესაძლო პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიზღუდოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;

• აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი - ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.

• აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „ვითიბი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2016 წლის 12 სექტემბრის 15:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

# არამკითხე მოგებო...



გაუხინ არასამთავრობო ორგანიზაციამ „ტყის პარტიზანი მებრძოლები“ ლენინის დიდი ორდენით დაჯილდოვდა ცნობილი გუნების დამცველი და „თბილისის ჰამბრის“ ნეოკომპარტიზმი-ლი მუხრანისტი ალექსი ელისაშვილი. ბიხაროვანი, თბილისის მერიისა და საპარტიზანო ხელმძღვანელები!

## სააკაპილის რეჟიმის დროს ელისაშვილის სრულად ბრალდების საფუძველზე 8 პირი დააკავეს!

უფლებადამცველ ნანა კაკაბაძის განცხადებით, სააკაპილის რეჟიმის დროს, ალექსი ელისაშვილის ცრუ ბრალდების საფუძველზე 8 პირი დააკავეს.



როგორც კაკაბაძემ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, 8 პირი, რომლებიც შემდგომში, ციხეებიდან პოლიტიპატიმრის სტატუსით გამოუშვეს, მედიის მხრიდან დაინტერესების შემთხვევაში, ელისაშვილის მიერ წარდგენილი ცრუ ბრალდების დეტალებს გაასაჯაროებს.

„სად იყო და რას ემსახურებოდა ელისაშვილი 2012 წლის არჩევნებამდე და ეს არის თუ არა კავშირში იმასთან, რას ემსახურებდა ის დღეს? რატომ ჰქონდა მას განსაკუთრებული პრობლემა პოლიტიპატიმრების მიმართ? – ელისაშვილი იყო ის ადამიანი, რომლის ცრუ ჩვენებებით 8 პოლიტიპატიმარი აღმოჩნდა ციხეში. ისინი იყვნენ კავკასიელები, მართლმადიდებელი ბიჭები“, – განაცხადა კაკაბაძემ.

„იმ ფონზე, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ადამიანებს ხოცავდნენ და აწამებდნენ, იმ დროს ელისაშვილი კლდისა და ბუჩქების პრობლემებზე ლაპარაკობდა, რაც ნაცემოდრობის გათვორების მცდელობა იყო“.

**რეკლამა**  
„საქართველოს რესპუბლიკაში“  
სულხან-საბას ძ. №3. 293-13-34; 599 797679

## ურჩი მინისტრები დასპრიტუს!

ჩრდილოეთ კორეაში განათლებისა და სოფლის მეურნეობის მინისტრები რი იანგ ჩინი და ვანგ მინი საზენიტო დანადგარიდან გასროლით სიკვდილით დასაჯეს.

სოფლის მეურნეობის მინისტრი დამნაშავედ ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ინისადმი დაუმორჩილებლობისთვის ცნეს. განათლების მინისტრი კი, გავრცელებული ინფორმაციით, სიკვდილით იმის გამო დასაჯეს, რომ კიმ ჩენ ინთან შეხვედრის დროს ჩაეძინა. მას, ასევე, ბრალი კორფიციაშიც დასდეს.



კიმ ჩენ ინი ქვეყნის სათავეში საკუთარი მამის გარდაცვალების შემდეგ, 2011 წელს მოვიდა. მის სახელს უკავშირდება სიკვდილით დასჯის არაერთი შემთხვევა, მასობრივი წმენდა და მოქალაქეების სამსახურებიდან გათავისუფლება.

რამდენიმე თვის წინათ კიმ ჩენ ინმა სიკვდილით ქვეყნის სამხედრო მეთაური, გენერალი იონ-გილიც დასაჯა. მას ბრალი კორფიციაში დასდეს.

## სათრეველები

### თავ-ნაცებსა და ნაცმასუნებზე

#### ფუნი უზიას!

ზუგდიდში, ამომრჩევლებთან შეხვედრისას, სანდრა რულოვსმა საქართველოს რუკიდან გაქრობა „უწინასწარმეტყველა“

ხან ენის მოჩვენება, ხან ენის სარსალი და, ვგონებ, რომ სჯერა, უმისოდ ბინდდება, დათაფლულ სიტყვებში შერეულ სამსალით რულოვსი ქვეყნიდან გაქრობას გვპირდება. არადა, დღემდე არ დაადგა საშველი, სიტყვა რომ ვერ დაძრან უღირსთა საქებრად, და მათ ბილნ მუქარას რომ დაეუკავშიროთ ის სისხლი, რაც დარჩა წარუშლელ ლაქებად... ღმერთს მაძლი! ურულოვს-უსააკაშვილოდ ჩვენი სამშობლო რომ არასდროს გაქრება!



#### როქი „ნაცური“. თან დიასური!

არც მოგვეჩვენა და არც მოგვესმა, განაგრძობს ჩვენი ქვეყნის მოგვესვლა ოდესის ოლქის გუბერნატორი... დავით ბაქრაძეს, ნიკა მელიას ინტრიგები არ შემოეღიათ, მაგრამ რადგან ვერ ავნეს მერიას, თავის ცოლით ცვლის მათი პატრონი... მან კარგად იცის, მისწვდეს სად რა სიმს, თვალსაზრისი თუკი ეგულის, ამიტომ გენამლავს სიტყვა სანდრასი ამერიკაში ნასწავლ მეგრულით... თუმცა ვერას იქმნს ელისაშვილი, რაკი ქმარს მალე ელის საბელი, რადგან გიყია, თან დასაბმელი ორი ბატონის უღელ შედგემული!

#### სად იყავი. სად იყავი გაუხინ?

„გოგოვ, გოგოვ, თუ ხარ ჩემი მეზობელი, შეიბნიე საკინდე!“

ზურაბ კუხიანიძე

რაც დამართეს ხეებს სპორტის სასახლესთან, რაც დამართეს ხეებს დიღმის მასივში, ახლა მაინც გაიხსენე, რომ იმ დღესაც არც აქციას მოუკლავხარ, არც შიმშილს! მერს რომ უტევე, ნაც-ბაცნებს რომ შეეხიდე და მცენარე გახდა ბრძოლის მოტივად, სად იყავი, იმ ასობით ცაცხეს რომ თხრიდნენ, ქუთაისში რომ ახარა ოტიამ? სად იყავი, ქვეყნის დამამშვენებელი ყველგან კვალი რომ წაშალეს სიკეთის? სად იყავი, როცა აღმაშენებლის ძეგლის ნაცვლად დადგეს ველოსიპედი? სად იყავი „პარტიზანო მებრძოლი“, შენს თვალწინ რომ ხალხს ხოცავდნენ „ნაცები“? ეგებ გვიტხრა, ხმა რატომ არ გავილეო, შარაძეს რომ ხვრეტდნენ არაკაცები? ბოლმა კუპრად დაიღვარა ფერადზე და დაყრანტალებს ყვავი გაშლილი ფრთებით; თუ გასურს დარჩე ქართველადაც, ფერაქედაც, ანი მაინც ნულარ გაშლილფდები!



ალექსანდრა შენგელია ქუთაისი,

## თქვენ ვინ ბრძანდებით, ბატონო?



ინტროვერტებთან შედარებით, ექსტრავერტები მეტ ფულს შოულობენ.

(განმარტების სახით აქვე აღვნიშნავთ, რომ ინტროვერტი – ესაა გულჩახვეული, ექსტრავერტი კი უფრო გულგახსნილი კაცი).

იმის მიუხედავად, რომ ინტროვერტები უფრო მცოდნე ხალხია (ისინი უფრო არიან მიჩვეულნი სხვის ყურის დაგდებასა და ანალიზის კეთებას), ხელმძღვანელობა მათ უფრო მცოდნეებად ექსპრავერტებად მიიჩნევენ იმ მარტივი მიზეზით, რომ ისინი... მეტს ლაპარაკობენ.

კიდევ ერთი საგულისხმო პასაჟი ისაა, რომ ინტროვერტების მოტივაცია ფულზე დამოკიდებული თითქმის არ არის – მათ უფრო ნაკლებად შემოსავლიანი კვლევითი სამუშაო იზიდავთ.

**საქართველოს რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS REPUBLIKA**  
სულხან-საბას ძ. №3  
მთავარი რედაქტორი  
სპარტაკ ქობულაძე  
293-13-34  
599 36-00-35  
პასუხისმგებელი რედაქტორები:  
გურამ გომიანიშვილი  
599 53-76-16;  
ალექსი  
ასლანიშვილი  
599 56-81-86;  
რუსლან რუსია  
599 17-21-21;  
პასუხისმგებელი მდივანი  
მამუკა ვაშაქიძე  
514 33-33-24  
გამომცემელი:  
შპს „მანადგომბა“-1-გაზეთ  
„საქართველოს რესპუბლიკის“  
გამომცემელი“  
ტ: 599 79-76-79  
შპს „ახალი საუკუნე“  
იბეჭდება გამომცემლობა  
„კოლორში“  
რკინიგზის ჩიხი №20  
uac(უაკ)070.4(479.22)  
ს-323  
ISSN 2233-3851  
9 772233 385001  
ავტორთა  
საყურადღებოდ!  
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**„საქართველოს რესპუბლიკა“**  
**შენი გაზეთია, აუსილებლად წაიკითხე!**

	<b>უხსოვარი პალატის კონს:</b>	<b>აივნი 31 აპრილისთვის</b>	<b>დაგვიკავით.</b>
	პუშ დოლარი - 2.291; პირი - 2.562;	აქმონაპალითი საქართველო:	<b>მოგვწერით:</b>
	ბრიტანული გირანა სტერლინგი - 3.997;	პარი - ლაპი +19, ღლუ +36	ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
	100 რუბლი - 3.522; თურქული ლირა - 0.775;	პოიანი რაიონები - ლაპი +12, ღლუ +31	<b>WWW.SAKRESP.GE</b>
პარაკაიქანული მანათი - 1.370;	დასავლეთი საქართველო:		
1000 სომხური დრამი - 4.831.	პარი - ლაპი +19, ღლუ +30		
	პოიანი რაიონები - ლაპი +16, ღლუ +30		
	თბილისი: ლაპი +24, ღლუ +35		